გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№70 (965) 2 – 3 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

დამწყები ბიზნესმენების დაფინანსებას იწყებს გვ.7

VEGA – ახალი პროექტი სტარტაპების მხარდასაჭერად

კვიციანი ბრალდებებს უყენებს

სააკაშვილს ოქრუაშვილსა და ბარამიძეს

გვ.3-4

ექსკლუზივი

რატომ განაწყენდა ირაკლი ალასანიაზე და ვის წინაალმდეგ ამზადებს საჩივარს ყოფილი რწმუნებული კოდორის ხეობაში

ნორა კვიციანი „ვერსიას" სკანდალურ ინფორმაციებს აწვდის

ბიძი უგულავამ სახელმწიფოს კუთვნილი 1 086 718 ლარი გაფლანგა

პროკურატურა უგულავასთვის აღმკვეთ ღონისძიებად 50 ათასლარიან გირაოს ითხოვს

გვ.6

მერყოფილ ნაციონალს 7-11 წლამდე პატიმრობა ემუქრება?

ჩაშლილი გაქცევა „დაწყევლილი ადგილიდან"

„დავინახეთ, ციხის ეზოში შავი ჯიპები შემოვიდა. მხოლოდ როდანდ ახალაია ვიცანი..."

პატიმარ გიგას პასუხი გადაკეტონს გვ.8

პატიმრის დღიური

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების რეგისტრაცია დაიწყო

2014-2015 სასწავლო წლისთვის, საბავშვო ბაღებში 1 ივლისიდან აღსაზრდელების რეგისტრაცია დაიწყო. საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, რამაზ სულამანიძის განმარტებით, 1-დან 5 ივლისამდე რეგისტრირდებიან იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ფილიალის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების), მოწერილობის საფუძველზე.

5 - დან 10 ივლისამდე რეგისტრირდებიან უკვე დარეგისტრირებული ბავშვების დედმამიშვილები. 10 ივლისიდან კი რეგისტრირდება უწყვეტად ყველა ბავშვი.

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში განმარტავენ, რომ ახალი 2014-2015 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის, ბაგა ბაღებში ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია ბავშვებისათვის, რომლებიც 2014 წლის 8 სექტემბრისთვის იქნებიან 2 წლის, ასევე, ბავშვები, რომლებსაც 8 სექტემბრისთვის არ შესრულებიათ 6 წელი.

ამასთან, სააგენტომ რეგისტრაცია გამოაცხადა ივლისში მომუშავე საზაფხულო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების დასარეგისტრირებლად. საზაფხულო ბაგა-ბაღებში 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ელექტრონული რეგისტრაცია 15 ივნისს დაიწყო. რამდენიმე მათგანში თავისუფალი ადგილები უკვე აღარ არის.

„ინტერპრესნიუსი“



29 ივნისის განმეორებითი კენჭისყრის წინასწარი შედეგები ცნობილია

თვითმმართველობის არჩევნების მაჟორიტარული წესით ჩატარებული განმეორებითი კენჭისყრის წინასწარი მონაცემების მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ 9 ოლქის 14 უბნიდან 8-ზე გამარჯვება მოიპოვა.

მარნეულის 57-ე და 25-ე, თეთრიწყაროს 26-ე, დუშეთის 52-ე, ტყიბულის მე-2, ახალქალაქის №1, ზუგდიდის 32-ე და ქობულეთის 34-ე საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებმა გაიმარჯვეს. ნაციონალურმა მოძრაობამ ხონის 22-ე და ბათუმის 103-ე საარჩევნო უბნებზე მიიღეს ხმების უმრავლესობა. ტყიბულის მე-5 საარჩევნო უბანზე კი „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატმა გაიმარჯვა.

დუშეთის საარჩევნო ოლქში განმეორებით ჩატარებული არჩევნების მიხედვით, მე-4, მე-6 და 47-ე უბანზე ჟინვალის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა რევაზ მოძმანაშვილმა ხმათა უმრავლესობა მიიღო.

კოალიცია „ქარული ოცნების“ საარჩევნო შტაბის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატები, ქვეყნის მასშტაბით, დამაჯერებელად ლიდერობენ: **„29 ივნისს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გაიმართა განმეორებითი კენჭისყრა. ეს ის ოლქებია, რომლებშიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ბათილად სცნეს. წინასწარი მონაცემებით, როგორც მოსალოდნელი იყო, კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამჯერადაც დამაჯერებლად ლიდერობენ უკლებლივ ყველა ოლქში, გარდა ერთისა. დარწმუნებულები ვართ, არჩევნების მეორე ტურში დამაჯერებელ გამარჯვებას მოვიპოვებთ“.**

„ინტერპრესნიუსი“

„შეიარაღებული ძალების წინაშე ურთულესი ამოცანა დგას: მშვიდობის დაცვა — ომის მოგება ბრძოლის გარეშე“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე უმცროს ოფიცერთა სკოლის გამოსაშვებ ცერემონიას დაესწრო და სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, შეიარაღებული ძალების წინაშე ურთულესი ამოცანა დგას: მშვიდობის დაცვა — ომის მოგება ბრძოლის გარეშე, რაც, მისივე თქმით, მაღალ კვალიფიკაციას, პროფესიონალიზმსა და თავგანწირვას მოითხოვს: **„იმისთვის, რომ ომი მოიგო ბრძოლის გარეშე, პირველ რიგში გასაკეთებელია ის, რაც თქვენ გააკეთეთ. ეს არის მაღალი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. ქართველი ჯარისკაცის უნარის, სიმამაცის, ღირსების, ცოდნის შესახებ უკვე არა მარტო საქართველოში იციან, არამედ თქვენი თანემებრძოლების მეშვეობით ბევრ სხვა ქვეყანაშიც. მეორე ნაბიჯი არის ის, რაც არც ერთ ქართველს არ ესწავლება — თავგანწირვა სამშობლოსთვის. მტერმა იცოდა და უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მოქალაქეები, ჩვენი შეიარაღებული ძალები ნებისმიერ მომხდურს ძვირად დაუჯენენ ჩვენი საზღვრის დარღვევას“.**

ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის შემდეგ, ოფიცრებს სიტყვით თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მიმართა.

თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე ფიცი 98-მა კურსდამთავრებულმა დადო, რომლებსაც ლეიტენანტის წოდება მიენიჭათ. კურსდამთავრებულები სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან და შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებენ სამსახურს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა ოფიცრებთან სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

„პირველი“

ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა პრაღაში 9 ივლისს გაიმართება

რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. ზურაბ აბაშიძის თქმით, ისინი ერთმანეთს 9 ივლისს შეხვდებიან: **„შევთანხმდით, რომ ქართულ-რუსული დიალოგის ფორმატში ჩვენი მორიგი შეხვედრა გაიმართება 9 ივლისს პრაღაში. დავადასტურეთ, რომ აღნიშნული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში 7 ივლისს, ასევე პრაღაში, გაიმართება საინფორმაციო-საექსპერტო შეხვედრა სავაჭრო ურთიერთობის საკითხებზე, რომელზეც განხილული იქნება 2012 წლის ბოლოდან დღემდე ამ სფეროში განეული სამუშაოს შედეგები და საქართველო-რუსეთის სავაჭრო კავშირების სამომავლო პერსპექტივები, მათ შორის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. საქართველოს მხრიდან 2-3-კაციან ჯგუფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის დირექტორი უხელმძღვანელებს“.**

„პირველი“

ალექსანდრე ჭიკაიძე ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს პასუხობს

შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ნაციონალური მოძრაობის იმ ბრალდებებს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, საქართველოში კრიმინალური ავტორიტეტების შემოსვლას ხელისუფლება მფარველობს: **„ჩემი მხრიდან ცოტა არასერიოზულია კომენტარის გაკეთება, ქურდული ტრადიციების მიმდევარმა პირებმა რომ საქართველოში თავი წამოყონ, ეს გამორიცხულია. მათ წინააღმდეგ ჩვენი დანაყოფები აქტიურად და დაუნდობლად იბრძვიან და გამორიცხულია ასეთი რამ. ვიღაც „რემენაზე“ საუბარი ცოტა არასერიოზულია ჩემი მხრიდან“.**

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნას, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ვიცე-პრემიერის, კახა კალაძის დაკითხვა მოხდეს, ჭიკაიძის თქმით, **„ბატონი კახის დაკითხვა, ვიღაცის განცხადების გამო, ცოტა არასერიოზულია“.**

შს მინისტრი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლის ანი ნადარეიშვილის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, ნადარეიშვილი ვარაუდობს, რომ ახალაიას უახლოეს მომავალში ახალ ბრალს წაუყენებენ: **„ჩემთვის უცნობია, ინფორმაციას არ ვფლობ, რას აპირებს პროკურატურა“.**

გარდა ამისა, შს მინისტრმა კომენტარი გია დგებუაძის დაკავებაზე გააკეთა და განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, რა ვითარებაში დააკავეს ჰოლანდიაში „მასტერა“.

„პირველი“

კინოლოგიური პროექტი გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კინოლოგიური პროექტი (K9) გახსნა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველი მოადგილე ქეროლ პერეზი და საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური.

პროექტი მიზნად ისახავს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარების მოკლევადიანი სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადენს. კინოლოგიური პროექტი აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით 2013 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებისგან შეიქმნა ოპერატიული დანაყოფი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძაღლებთან ერთად მუშაობს. ორივე უწყებისთვის შეძენილია 5 სამომსახურეო ძაღლი. ოპერატიული დანაყოფის წევრებმა, შეძენილ სამომსახურეო ძაღლებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით გაიარეს რვაკვირიანი მომზადების კურსი, ასევე გაეცნენ თურქეთში არსებულ სისტემას. მიმდინარე ეტაპზე სამომსახურეო ძაღლები, დანაყოფის წევრებთან ერთად, ყოველდღიურად გადიან მომზადებას შინაგან საქმეთა სამინისტროს კინოლოგიური სამსახურის ბაზაზე და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

პროექტის ფარგლებში, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ძაღლების 8 მუდმივ საცხოვრებელს — ვოლიერს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად იგეგმება დროებითი ვოლიერების მშენებლობა.

„ვერსიანიუსი“

ემზარ კვიციანს სასამართლოში სარჩელი შეაქვს!

ნინო კომახიძე 599-95-33-16

ყოფილი პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანს 7 ბრალდებიდან პროკურატურამ 5 მოუხსნა, თუმცა ორი ძირითადი — შეიარაღებული ბანდფორმირების შექმნა და ცენტრალური ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა დაუტოვა. ამ ფაქტს წინა ხელისუფლება შეშფოთებით გამოეხმაურა — ეს კაცი რუსეთის აგენტია, „ოცნება“ კი მის გათავისუფლებას აპირებსო. არადა, ამჟამინდელ მთავრობას კვიციანის გამოშვება გულშიც არ გაუვლია; მეტიც, დასაკითხია მაშინდელი შს მინისტრი გია ბარამიძეც, მემკვიდრე ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად, რომელმაც კოდორის ხეობა 15 კილომეტრში მდგომ მტერს ლანგრით მიართვა. პოზიციას არც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აფიქსირებს, რომელსაც კვიციანთან, აფხაზეთის მთავრობაში ყოფნის დროს, კარგი ურთიერთობა აკავშირებს. როგორც კულუარებში ამბობენ, 35 დეპუტატის თავდებში ჩადგომამ ვერ გაჭრა, მაგრამ კვიციანისთვის 7 ბრალდება პროკურატურას სწორედ ალასანიამ მოახსნევინა. გავრცელებულ ხმებს „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ემზარ კვიციანის და, პოლიტპატიმარი ნორა კვიციანი უარყოფს და აცხადებს, რომ კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული ალასანიაზე განაწყენებულია. ამ ეტაპზე, კვიციანი ორ სარჩელს ამზადებს მიხეილ სააკაშვილისა და ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ და ბრძოლის სამართლებრივ გზას ირჩევს. ვინ არის ემზარ კვიციანი კოდორელებისთვის, გმირი თუ კრიმინალი, რატომ აფარებს ხელს „ოცნება“ ნაციონალების მაღალჩინოსნებს კოდორის საქმეზე და როგორ ცხოვრობს 90 სვანი ოჯახი ჩვენგან მიტოვებულ ხეობაში — „ვერსიას“ ნორა კვიციანი ესაუბრება.

ნორა კვიციანი „ვერსიას“ სკანდალურ ინფორმაციებს აწვდის

— ემზარს ეს ბრალდებები პროკურატურამ მოუხსნა, რადგან მის საქმეზე ძალიან ბევრი მოწმე დაიკითხა და ჩემი ძმის წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი ვერ აღმოაჩინეს. ყველაფერი „შეკერილი“ და სისულელე იყო — გაერო-ს წარმომადგენლების გატაცებაც, თაღლითობაცა და ა.შ. უკანონო ფორმირების შექმნის მუხლი მეც მქონდა მისჯილი. საუბარი არაა „მონადირეზე“, რომელიც კანონიერი ბატალიონი იყო 1993-დან 2006 წლამდე. ეს ბატალიონი, თავისი იარაღითა და დაფინანსებით იურიდიულად გაფორმებული იყო და სახელმწიფოს ექვემდებარებოდა. ემზარი საქართველოში იმიტომ შემოვიდა, რომ მიიღო ინფორმაცია, ხეობას აბარებენო. ამან გამოიწვია ის, რაც გამოიწვია.

— „მონადირე“ მაშინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გააუქმა — ასე იქცა კანონიერი ბატალიონი უკანონო ბანდფორმირებად. შეგიძლიათ, დეტალები მიამბოთ?

— 2005 წლის ივნისში ირაკლი ოქრუაშვილმა ბატალიონი „მონადირე“ გააუქმა. 2004 წლის შემოდგომაზე თავდაცვის მინისტრი გია ბარამიძე კოდორის ხეობაში შემოვიდა, ყრილობა ჩაატარა და თანადგომა გამოგვიცხადა — გმირი ხალხი ხართ, გვერდით ამოგიდგებით და ზამთარში აქ ვიქნებიო. მაშინ თავად ბარამიძემ გვითხრა, თქვენს წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდება და მაგას არ დავუშვებ, ყველას კბილები ჩაემტვრევაო. არ ვიცი, რას გულისხმობდა, არც კონკრეტული ინფორმაცია გვქონდა, რადგან ხეობაში პროვოკაციები ისედაც ხშირად ხდებოდა.

— და ვინ ამზადებს პროვოკაციას, ჩვენივე ხელისუფლებაო?

— აბა, სხვას რა ინტერესი უნდა ჰქონოდა? ჩვენსავე ინტერესებში ხომ არ იქნებოდა — ბლოკადაში ვიყავით, არც გზა გვქონდა, არც რაიმე პირობა. როგორც პატიმრები, ისე ვიყავით, მაგრამ ბოლომდე იქ ვიდექით. ქალი ვარ, შვილებიც აქეთ მყავდა, მაგრამ საკუთარი თავისთვის ერთი დღე არ მიცხოვრია, ბოლომდე ხეობაში დავრჩი.

შემოდგომაზე ბარამიძემ რამდენიმე „კამაზი“ ტყვია-წამალი და ტაბელური იარაღი შემოზიდა და ყველაფერი გაგვიფორმა. ფორმები, სურსათი შემოიტანეს და ყველაფერი ოჯახ-ოჯახ დარიგდა, იარაღის მეორე ნაწილი კი საწყობებში შეინახეს. ხეობაში მყოფი ხალხი პანიკაში ჩავარდა, ომი ხომ არ იწყებაო?!

— მანამდე, ჯერ კიდევ 2004 წელს, ირაკლი ალასანია აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში დაინიშნა და კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი გააუქმა. როგორც ამბობენ, დღეს პროკურატურას დანარჩენი 5 სარჩელი სწორედ მან მოახსნევინა, ეს მართალია?

— როცა ალასანია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა, მაშინ კი გააუქმა ეს პოსტი, მაგრამ ეს ალასანიას კი არა, რა თქმა უნდა, უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანება იყო. ხეობაში ალასანიაც შემოვიდა, 4 დღე დაჰყო ჩვენთან და ისიც მხარდაჭერას გვპირდებოდა, როგორც დანარჩენები. 1994 წელს დადებული ხელშეკრულებით, ადგილობრივი ბატალიონის გარდა, კოდორში სხვა საჯარისო შენაერთს ჩვენს ხეობაში შემოსვლის უფლება არ ჰქონდა. ამ დროს, მოდის ოქრუაშვილი და ბატალიონს აუქმებს.

ოქრუაშვილის გეგმების შესახებ ინფორმაცია ალასანიას ჰქონდა და გვითხრა, პირადად დაგიცავთო. ვიცოდით, როგორც კი ხეობაში ჯარი შემოვიდოდა, ე.ი. ხეობა ჩასაბარებლად იყო განწირული. ალასანია მაშინ ოქრუაშვილს დაუპირისპირდა, ვიცი, მოსთხოვა, ხეობაში ბატალიონი აღადგინეო, მაგრამ ალასანია თანამდებობიდან მოხსნეს და საქართველოდან საერთოდ გაუშვეს. როგორც ვიცი, ალასანიას არანაირი დახმარება არ აღმოუჩენია ემზარისთვის, ჩემი ძმა მასზე განაწყენებულია: როცა ერთმანეთს შეხვდნენ და ისაუბრეს, ემზარმა თქვა, ისეთი კარგი ბიჭი დაინიშნა აფხაზეთის მთავრობაში, ეს ხეობას მართლა უპატრონებსო, მაგრამ ასე არ მოხდა. ემზარმა პირდაპირ უთხრა ალასანიას, მე რომ მიშორებთ, ხეობას ვინ დაიცავს, ეს ხომ კოდორის ჩაბარებას ნიშნავსო. მაშინ ალასანიამ პირობა მისცა, მე დავიცავ კოდორსო. ამაზეა ნაწყენი ემზარი — ალასანიამ პირობა ვერ შეუსრულა. ჩვენთვის არავის არაფერი გაუკეთებია, როგორც მათხოვრებს, ზამთრის მარაგს ისე მოგვიგდებდნენ ხოლმე და სულ ეგ იყო.

— მაშინ ჭორები დადიოდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა კოდორის მოვლენების გამოც გაუფუჭდა. რა ინტერესი ჰქონდა კონკრეტულად ამ ხეობაში ოქრუაშვილს?

— აბა, ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ოქრუაშვილი ვერ იმოქმედებდა.

ძალიან მინდა, ინტერვიუ მოგცეთ ერთმა პილოტმა, რომელმაც პირადად ოქრუაშვილის, სააკაშვილის, სუხიტაშვილისა და ნიკოლაიშვილისგან მიიღო ბრძანება, სოფელი დაებომბა. უთხრეს, ხეობა დაცლილია და შეგიძლია, იქაურობა გადაბუგოო. ამ პილოტმა კი ეზოში მოთამაშე ბავშვები და ქალები დაინახა და რატომ მღუპავთო, იყვირა. ეს მხოლოდ ნაწყვეტია იმ ამბიდან, რაც სინამდვილეში ხდებოდა. მინდა, ამ კაცმა ყველაფერი გიამბოთ. მას უთხრეს, ხეობაში აღარავინ დარჩა, მარტო კრიმინალები არიან და ყველანი გადაბუგეთო. უნდოდათ, როგორც ცხინვალში ჩახოცეს საკუთარი ხალხი და მერე გენოციდი რუსეთს დააბრალეს, ახლაც ასე მოქცეულიყვნენ. მერე ეს პილოტი ციხეშიც ჩასვეს. ეს ამბავი სულ 2 დღის წინ გავიგე, ახალი ინფორმაციაა.

ოქრუაშვილმა კარგად იცოდა, რომ 15 კილომეტრში ჩვენი მოწინააღმდეგე რუსეთი იდგა. მე მათ მტერს ვერ დავარქმევ — ისინი მოწინააღმდეგეები იყვნენ, მტერი კი, ქვეყნის შიგნით, საქართველოს ხელისუფლებაში გვყოლია! ყველამ კარგად იცოდა, აფხაზეთის აღიარება კოდორის ხელში ჩაგდებამდე არ მოხდებოდა. როცა ეს იცი და ბატალიონს აუქმებ, ე.ი. მოღალატე ხარ. როცა შენ ამ ჯარს არანაირ სტატუსს არ უტოვებ და მტერი 15 კილომეტრში დგას, თავისუფლად შეიძლება, ორმა კაცმაც კი დაგიპყროს, თუ წინააღმდეგობას არ გაუწევ. წინააღმდეგობას კი ვერ გავუწევდით, რადგან მაშინ უკვე შეიარაღებული ბანდფორმირება გამოვდიოდით. ვრეკავდი ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, ნინო ბურჯანაძე იყო მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე — რას აკეთებთ, რატომ გვწირავთ-მეთქი. წინასწარ ხომ უნდა შემოეტანა ოქრუაშვილს ბატალიონის გაუქმების ბრძანება, გავეფრთხილებინეთ, ბატალიონი უქმდება, აბა, იარაღი ჩაგვაბარეთო, მაგრამ ეს ყველაფერი გამიზნულად მოხდა. ჯერ იარაღი შემოიზიდა, მერე ბატალიონი გაუფრთხილებლად გაუქმდა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ბანდფორმირებად გამოცხადება უნდოდათ. ეს პოლიტიკა ჩემი ძმის დასაჭერად და მისთვის ამ ბრალდებების წასაყენებლად გათამაშდა. ჩემმა ძმამ კარგად იცოდა, ეს ხეობა ბარდებოდა, ამას ყვიროდა, მე არ ჩავბარდები, რასაც შევძლებ, შევძლებო და სიცოცხლე 3-ჯერ ჩაიგდო საფრთხეში.

— ამ საქმეზე თავად ოქრუაშვილი დაკითხულია? როცა იგი „ოცნებამ“ დაიჭირა და ცოტა ხანში გამოუშვა, კვიციანის საქმე და კოდორის ხეობა არავის უხსენებია.

— რამდენჯერ დავსვი ეს კითხვები და ირაკლი ოქრუაშვილს ამას არავინ ეკითხება. უპასუხოს ერსა და კოდორელებს და არა ნორა კვიციანს — რატომ გააუქმა ბატალიონი 2005 წელს, რატომ არ გვაჩვენა ბრძანება, არ გააფრთხილა ხალხი და არ ჩააბარებინა იარაღი, იყო თუ არა ეს ღალატი, როცა 15 კილომეტრში მოწინააღმდეგე დგას?! ჯერ ერთი, ვინ არის საერთოდ ეს ირაკლი ოქრუაშვილი, რას წარმოადგენს, რომ ამ კითხვებს არ პასუხობს. ეს ის ოქრუაშვილი არაა, რომლის აღიარებით ჩვენებას ვუყურებდი ტელევიზორში და ისე შემეცოდა, ვიტირე. დღეს ეს კაცი არენაზე ისევ გამოდის და კიდევ პოლიტიკაში ერევა?! მას მოღალატე ჰქვია. რატომ უნდა იყოს ჩემი ძმა ციხეში და ირაკლი ოქრუაშვილი გარეთ?! ჩემამდე არ დადის, რატომ არ ჩასვა ხელისუფლებამ ციხეში ოქრუაშვილი! გამძიება რაღა ჩემი ძმიდან უნდა დაიწყონ — დაიწყონ სათავიდან: ვისგან გამომდინარე მოხდა ეს ამბოხი?! ქვეყანაში სამი დღის შემოსული იყო ჩემი ძმა, რატომ არ აიყვანეს თბილისში, თუ ასეთი კრიმინალი იყო და რატომ შემოუშვეს ხეობაში? ესეც მოტყუებით მოხდა, ვისაც ემზარი ენდობოდა, ალბათ, ისიც მოისყიდეს. ეს ამბავი ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით, აქ ფულს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. უფრო სწორად, ფულის გათეთრებას — გაიყიდა ჩვენი ხეობა, მეტი არაფერი! კარგი, დავუშვათ, ემზარი ამბოხებული იყო, მე, ქალმა, ვიღას გავუწიე წინააღმდეგობა, რატომ ვიჯექი ციხეში? 6 წელი და 4 თვე ციხეში გავატარე და დანაშაული რომ ჩამედინა, არავინ არაფერს მაპატიებდა.

— თქვენ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიიღეთ — მორალური ზიანის ანაზღაურებას ხომ არ ითხოვთ, რაკი ამდენი წელი უკანონო პატიმრობაში გაატარეთ?

— რა ანაზღაურებაზეა საუბარი, როცა სამხედრო პენსიას ვიღებდი და ისიც დამიყადაღეს. 75 000 ლარი ჯარიმა დამაკისრეს, რომელიც, მათი ჭკუით, უნდა გადავიხადო — მე ხომ ვითომ ხალხის ზამთრის მარაგი შევჭამე: 30 ტონა ფქვილი და 10 ტონა მარილი. მე პოლიტიკური დევნილის სტატუსი საერთაშორისო დონეზე მივიღე, მერე გამოხმაურება საქართველოს სახალხო დამცველისგან, ადგილობრივ დონეზეც მოჰყვა.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

საჯარო სამსახურის შესახებ ახალ კანონს მიიღებენ

როგორც დოკუმენტის ავტორები აცხადებენ, კონცეფციის შექმნის მიზანი გამართული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბებაა.

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის, ეკა ქარდავას განმარტებით, კონცეფცია უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შემუშავდა და მის შექმნაში არაერთი უცხოელი ექსპერტი მონაწილეობდა.

მისივე თქმით, კონცეფცია საჯარო სამსახურის რეფორმას დაედება საფუძვლად.

ქარდავას განმარტებით, რეფორმა 10 კატეგორიას მოიცავს, რომელთა შორისაა საჯარო სამსახურის განმარტება: საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები; საჯარო სამსახურის მართვის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სისტემა; საჯარო სამსახურში მიღების წესი; კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემა; საჯარო მოხელეების მართვა; მათი უფლება-მოვალეობები; სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება და თანაბარი შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისთვის.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, მაია ცქიტიშვილის თქმით, ესაა საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი, რომლის შექმნაშიც არაერთი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის, ცენტრალური ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები. ცქიტიშვილის განმარტებით, კონცეფციის საფუძველზე საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონი შემუშავდება. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაზე მუშაობის პროცესი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის პროგრამის ხელშეწყობით წარიმართა.

„ინტერპრესნიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

„ქართული ოცნება“ ჩვენ წინააღმდეგ არსებული განწყობის კონსოლიდაციას ახერხებს“

შექმნის თუ არა ნაციონალების ნაწილი ახალ პოლიტიკურ ძალას და პასუხისგებაში ვის მიცემას ითხოვს ხონის მაჟორიტარი აკაკი ბობოხიძე

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეძილეთში გახსნილ №22 საარჩევნო უბანზე თვითმმართველობის არჩევნების განმეორებით კენჭისყრაზე ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა, თუმცა თავად ხონის მაჟორიტარი დეპუტატი არ მალავს, რომ ამომრჩეველი ჯერ კიდევ ნაციონალების წინააღმდეგ აძლევს ხმას. იქმნება თუ არა ნაციონალური მოძრაობის ბაზაზე ახალი პოლიტიკური პარტია და ვის დასჯას ითხოვს თანაგუნდელებიდან, „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.

— წინასაარჩევნოდ, ხონის მოსახლეობამ საშინელ ზეწოლას გაუძლო. მათ არც ე.წ. ქუჩის თუ ძველი ბიჭებისა და ნარკომანების მუქარა დაკლებიათ და არც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე უთქვამთ უარი.

— თქვენ ახლა სისხლის სამართლის დანაშაულზე საუბრობთ, რატომ არ ასახელებთ ამ „ძველი ბიჭებისა“ და ნარკომანების ვინაობას?

— მათ სახელებს ვერ ჩამოგითვლით. ამ ადამიანების ვინაობა რომ დავასახელო, მტკიცებულებებიც უნდა მქონდეს, შესაბამისად, თავს შევიკავებ.

— თუ მტკიცებულებები არ გაქვთ და კონკრეტულ ადამიანებსაც ვერ ასახელებთ, თქვენი ზოგადი ფრაზების რატომ უნდა დავიჯეროთ?

— მუქარის შესახებ ნებისმიერმა ხონელმა იცის და ჩემ სიტყვებს ისინი დაგიდასტურებენ. საბედნიეროდ, ხონელები მუქარას არ შეუშინდნენ და მთელ საქართველოს მისცეს მაგალითი, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხება შესაძლებელია.

— „ქართული ოცნება“ ხონში მხოლოდ ერთ კონკრეტულ უბანზე დამარცხდა, წინ კი, რაიონის გამგებლის ასარჩევად მეორე ტურია დანიშნული.

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების გასაყალბებლად, მივიწყებასმიცემული შევარდნაძისდროინდელი მეთოდები გაიხსენა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ეს ძალა ქვეყანას წარსულში დააბრუნებს. ეს ადამიანები ხელისუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წავლენ. რაც შეეხება ხონში დანიშნულ მეორე ტურს, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ამ დრომდე ციხეშია და მეორე ტურში გასვლა მან სწორედ საკნიდან შეძლო. მას მეორე ტურში გამარჯვების სერიოზული შანსი აქვს. ამ საქმეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი არსებობს: ხონში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მიმართ გამოძიება უკვე დასრულებულია. ადრე გვეუბნებოდნენ, ვერ გამოვუშვებთ, რადგან შეიძლება გამოძიებას მიემალოს ან გამოძიების შედეგებზე გავლენა მოახდინოსო, დღეს კი ეს მოტივიც აღარ არსებობს, თუმცა მას მაინც პატიმრობაში ტოვებენ.

ამის მერე ხელისუფლება გამოვა და დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარს დაგვიწყებს.

— პარლამენტში რამდენიმე მოწვევის დეპუტატი ხართ და ამიტომ გეცოდინებათ, რომ მეორე ტური ქვეყნის ისტორიაში ნოვაციაა — 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციის მოთხოვნისა და კონკრეტული ფაქტების წარდგენის მიუხედავად, მეორე ტური არ დაინიშნა.

— პირველ რიგში, ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახალი სიტყვა სულაც არ არის. თუ ვინმეს ამნეზია დაემართა, 2004 და 2006 წლის არჩევნებს გადახედოს. ფაქტია, „ქართული ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს, თუმცა არც იმას უარვყოფ, რომ საზოგადოების მხარდაჭერა მათ ჯერ კიდევ აქვთ — ჩვენ წინააღმდეგ არსებული განწყობის კონსოლიდაციას ახერხებენ. რამდენ ხანს ეყოფათ ადამიანებს გონიერება ან უგუნურება, რომ ვიღაცის ჯინაზე გააკეთონ არჩევანი, ვერ გეტყვით. სწორედ ამაზეა დამოკიდებული არჩევნებში გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდებით. 15 ივნისის არჩევნების შემდეგ ისიც გამოიკვეთა, რომ თბილისი „ქართულ ოცნებას“ კი არ აძლევს ხმას, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგია. განსაკუთრებით კი, თბილისის ელიტა.

— რატომ ფიქრობთ, რომ თქვენდამი ამომრჩევლის განწყობა უსამართლოა?

— მესმის, ადამიანების განწყობის შეცვლა ადვილი არ არის. ბევრს შეცდომის აღიარებაც უჭირთ. თუმცა ერთი რამ არ მესმის. თუ საზოგადოებისთვის სააკაშვილის დროს გარკვეული პროცესები მიუღებელი იყო, ახლა დღეს ამ ყველაფერს თვალდახუჭული რატომ შესცქერიან? თითოეულ მაშინდელ ოპოზიციონერს ვეკითხები: თუ სააკაშვილის დროს პოლიტიკური ნიშნით დევნა არ შეიძლებოდა, რატომ უნდა იჯდეს დღეს ციხეში ხონში ნაციონალური მოძრაობის გამგებლობის კანდიდატი ზურაბ ჯიბუხაია ან რატომ იდევნებიან ნაციონალური მოძრაობის წევრები, მათ შორის, გიგი უგულავა პოლიტიკური ნიშნით? კი ბატონო, დანაშაულზე პასუხი ყველამ უნდა აგოს, მაგრამ ეს პოლიტიკური ნიშნით არ უნდა ხდებოდეს.

— გაუგებარია, თუ დამნაშავეების დასჯას ითხოვთ, რატომ უკავშირებთ გიგი უგულავასთვის ბრალის წაყენებას პოლიტიკურ დევნას? თბილისის ყოფილ მერს სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში ადანაშაულებენ.

— ნაციონალური მოძრაობის წევრებს ეს ბრალდებები უნდა დაუსაბუთონ. თანაც ეს პროცესი შერჩევით სამართალს დაემსგავსა. რატომ არ აგებინეს პასუხი იმ ადამიანებსაც, რომლებიც ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდნენ? „შიხიაშვილებს“ ვგულისხმობ... პროკურატურამ რაც უნდა სამართლებრივად განმტკიცებული ბრალდებები წარმოადგინოს, შიხიაშვილი თუ არ დაისჯება, ეს მხოლოდ პოლიტიკური დევნის მანიშნებელი იქნება.

— შიხიაშვილი სწორედ მისი პარტიული მრავალფეროვნების გამო კოალიციის სიაში ვერ მოხვდა. თუ გაქვთ ინფორმაცია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

— ამ შემთხვევაში კონკრეტულად შიხიაშვილზე არ ვსაუბრობ. ამ ადამიანმა იმდენი მოახერხა, პოლიტიკური მოღალატის სიმბოლოდ იქცა, თუმცა ბევრი დამნაშავეა კოალიციის რიგებში, რომელსაც გონია, რომ „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა ინდულგენციაა. მეტს არ დავკონკრეტდები. ამ ეტაპზე მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრების დასჯის მომსწრენი ვართ. ამიტომ გვესმის მუდმივად ნაციონალური მოძრაობის რადარებიდან გაქრობის შესახებ, თუმცა თუ კოალიციის ლიდერების ლოგიკით ვიმსჯელებთ, ხონში ჩატარებული განმეორებითი არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნულს უტოლდება. „ქართულმა ოცნებამ“ ბიუჯეტის ნგრევა და პრემიების გაცემა თუ გააგრძელა, საპარლამენტო არჩევნებზე აუცილებლად დამარცხდება. თუმცა მას ვინ დაამარცხებს, ნაციონალური მოძრაობა თუ რომელიმე სხვა, ახალი თუ მოქმედი პოლიტიკური ძალა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— ნაციონალურ მოძრაობაში ხომ არ იქმნება ახალი პოლიტიკური ძალა თუ ნინო ბურჯანაძე შეძლებს „ქართული ოცნების“ დამარცხებას?

— ჯერჯერობით, ასეთი ძალა არ ჩანს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: მთავარი დამმარცხებელი საქართველოს მოსახლეობა იქნება, მაგრამ ვისი ხელით გააკეთებს ამას, მომავალი გვიჩვენებს. რეალურად, დღეს ქვეყანაში რუსულ და დასავლურ ორიენტაციას შორის ბრძოლა მიმდინარეობს. საბედნიეროდ, ქართულ პოლიტიკაში ევროპული არჩევანის მქონე პარტიები დომინირებენ. ოპოზიციაში კი, ნაციონალური მოძრაობა უკონკურენტოა. პრორუსულ ძალებს არასოდეს ექნებათ შანსი, მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვონ. „ქართულ ოცნებას“ კი ორიენტაცია საერთოდ არ გააჩნია. კოალიცია მოქალაქეთა კავშირს ჰგავს — აპოლიტიკური ძალაა, რომელიც როგორც კი ხელისუფლებას დაკარგავს, პოლიტიკური რადარიდან მართლა გაქრება. ისევე როგორც თავის დროზე შევარდნაძის ამორფული პარტია გაქრა პოლიტიკიდან.

— „ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან გაქრება და თქვენი პარტიის რეიტინგი გაიზრდება?

— ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივა აქვს. თუ მოქალაქეთა კავშირის დროინდელი პოლიტიკოსების რეანიმირება მოხდა, ნაციონალურმა მოძრაობამ რა დაუშავა? თანაც ეს საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია. „ქართულ ოცნებას“ ახლა ერთადერთი გზა რჩება — ოპონენტები ფიზიკურად ჩამოიცილოს. თუმცა ესენი არ არიან ის ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს დაიჭერენ.

ემზარ კვიციანს სასამართლოში სარჩელი შეაქვს!!!

მე-3 გვერდიდან

როცა პარლამენტამდე მივიდა საქმე, 2 თვეღა მაკლდა გამოსვლას და არ მინდოდა, რაც გააკეთეს. არც უდო-ს კომისიისთვის მიმიმართავს, არც შეწყალების თხოვნა დამიწერია, არც რამე მითხოვია ვინმესთვის — ვთქვი კიდეც, რისთვის გამომიყვანა ამ პარლამენტმა-მეთქი! ესენი ისევ ნაციონალებს უფრთხილდებიან და ჩემი გამოშვება რაში სჭირდებოდათ?

— „ოცნება“ დღემდე ამაყობს პოლიტპატიმრის სტატუსმინიჭებული ხალხის ციხიდან გამოშვებით და სხვათა შორის, ეკა ბესელიას ე.წ. სიებში თქვენი ძმის გვარიც უნდა ყოფილიყო. ამაზე სიახლე ხომ არ გსმენიათ?

— სასამართლო ნაციონალებისაა, პროკურატურა ნაციონალებისაა, პარლამენტი უძლურია! 35 პარლამენტარი თავდებში ჩაუდგა ჩემს ძმას და მაინც ვერ გამოიყვანა ციხიდან. ეს ხომ ხალხის არჩეული პარლამენტია და როცა ამდენი დეპუტატი შენზე პასუხს აგებს, მითხარით, ვინ არის ასეთი ადამიანი — გმირი თუ კრიმინალი?! მას თავდებში ჩაუდგა უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე, უმრავლესობის ლიდერმა, ეკა ბესელიამ კომისია შექმნა და დასკვნაში დაწერა, იკვეთება პოლიტიკური ნიშნები. ეს დასკვნა პროკურატურას გადაეგზავნა და სხვა ბრალდებები მოუხსნეს, მაგრამ ამბოხისა და წინააღმდეგობის გაწევის მუხლს რომ ტოვებ, ეს პოლიტიკური არ არის?

— სასამართლოს გადაწყვეტილებამ ნაციონალები აღაშფოთა — საქმე კვიციანის გამოშვებისკენ მიდის და ის რუსეთის ხელში დამატებითი ბერკეტი იქნება საქართველოს წინააღმდეგო. სხვათა შორის, მსგავსი შეფასებები აქვს ოქრუაშვილსაც.

— ოქრუაშვილი მათზე უარესია. ცოტა ხნის წინ კითხვა დაუსვეს კვიციანზე და განაცხადა, ეგ რისი ღირსიცაა, იმას იღებს და ციხეში უნდა იჯდეს, რადგან კრიმინალიაო. ჩემი ძმაა კრიმინალი და მოღალატე, როცა ხეობა ირაკლი ოქრუაშვილმა ჩააბარა? ვინ გააძევა ხეობიდან რუსის დესანტები, ჩემმა ძმამ თუ ოქრუაშვილმა, ჩეჩნებისგან ვინ იცავდა კოდორს?! ერთი წელი ისე გავიდა, ნაცარში ვხარშავდით თეთრეულს, მაგრამ მაინც იქ ვიყავით, სადაც უნდა ვყოფილიყავით. ემზარი რუსებსაც ეუბნებოდა, სანამ ცოცხალი ვარ, აქ არ შემოგიშვებთო. ხან ხიდებს გვიფეთქებდნენ, ხან თავისი ბლოკ-პოსტის გადმოტანა უნდოდათ ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ ემზართან ვერაფერს გახდნენ, ვაჟკაცი ყოფილხარო, უთხრეს და გაბრუნდნენ. სანამ ემზარი იქ იქნებოდა, რუსები 100 წელი ხეობაში შემომსვლელნი არ იყვნენ. იცოდნენ, ხეობას არ დავთმობდით და შეგვეშვნენ, მაგრამ ხელისუფლებამ თავად აჩუქა მათ კოდორი. თუ დღესაც ამდენი მოღალატეა ამ ქვეყანაში, მაშინ ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე.

— მოღალატეს უწოდებენ კვიციანსაც — თუ ხეობას რუსებისგან იცავდა, მაშინ თავს რუსეთში რატომღა აფარებდა მთელი ეს წლებიო? ლოგიკურად, ემზარ კვიციანი, პირველ რიგში, სწორედ რუსეთში უნდა დაეჭირათ ან მოეკლათ.

— მოატყუეს, კოდორში გიბარებენო და იქიდან გაიტაცეს — ჩემი ძმა გატაცებულია, ის რუსეთში თავისი ნებით არ წასულა და მით უმეტეს, არ გაქცეულა. ამიტომაც იყო შინაპატიმრობაში ამდენი წელი, თორემ რუსს თვითონ ებრძოდა. წინა ხელისუფლებამ თავად მოატაცებინა ემზარი მოტყუებით და ჩემი ძმა ამ ყველაფერს დეტალურად იტყვის. ახლა სარჩელს ამზადებს სააკაშვილისა და ოქრუაშვილის წინააღმდეგ — პირადად საკუთარ თავზე კი არა, კოდორის ხეობაზე!

— კოდორელების დამოკიდებულება როგორია დღეს, რა ვითარებაა ახლა კოდორში?

— ჯერ ერთი, პროკურატურამ უამრავი კოდორელი დაკითხა და ემზარზე ერთი აუგისმთქმელი ვერ იპოვა. გაგიჟებული იყო გამომძიებელი, ეს კაცი გმირი ყოფილა, დამნაშავე კი არაო. ჩემი შვილი, ბიჭი ცხოვრობს ახლა ხეობაში, ოჯახთან ერთად. მასთან ნაციონალებს ბევრი „ქილერი“ ჰყავთ მიგზავნილი, მათგან ერთ-ერთი დააპატიმრეს და აღიარა, პირადად კოდუასა და მეგის ქარდავასგან მქონდა ბაჩო არღვლიანის მოკვლის დავალებაო.

რასაც დღეს იქ ჩემი ბიჭი აკეთებს, სხვა ვერავინ იზამს — აფხაზებსა და ქართველებს შორის რა სითბო და სიყვარულიცაა, სულ ჩემი ბიჭისგან მოდის. ისევ ჭირს შესვლა და გამოსვლა, კოდორიდან ვერც გამოდიან, ვერც შედიან. როცა შედიხარ, ისეთი ჩხრეკა მიდის, გეგონება, საზღვარგარეთ გადიოდე. ხეობაში დაახლოებით 90 ოჯახია დარჩენილი. იქ 24 აგვისტოს იქნება არჩევნები, მაგრამ იმ 90 ოჯახს საბუთები არ აქვს წესრიგში და არ ვიცი, რა როგორ იქნება. მე თავად ვიყავი 2 თვით ჩასული ხეობაში და იქ არც აფხაზია, არც რუსი, სვანები ცხოვრობენ და თან დაცულია ხეობა — არც ხეს აჭრევინებენ, არც თევზს აჭერინებენ. ჩემი შვილი ახლა ჩვენს სახლში ცხოვრობს, რომელიც ოქრუაშვილმა და სუხიტაშვილმა ჩამოგვართვეს და გაგვინადგურეს.

— რას აპირებთ, ბრძოლას სამართლებრივად აგრძელებთ თუ სხვა გზებით და რას ელით ახალი ხელისუფლებისგან?

— ემზარი ჩვენებას 5 დღე აძლევდა და არ ვიცი, რა აქვს ნათქვამი. ხელისუფლებაში, ყველა დონეზე, 70% ისევ ნაციონალები არიან და დღეს სამართალს ვერ ვპოულობ. ეს მარტო ჩვენი, კვიციანების კი არა, მთელი ერის საქმეა. ხეობა ნივთი ხომ არაა, დაიკარგოს, მთელი ტერიტორიაა — აფხაზეთია კოდორის ხეობა, რომელიც რუსებმა კი არ აღიარეს, მათ ლანგრით მიართვეს და ამას ჩვენი 28 ახალგაზრდა ბიჭი შეეწირა. დღეს თუ ჩემი ძმა არ გაამართლეს, მაშინ ერის საქმე ყოფილა ცუდად.

„ეს ექსტრემისტული ჯგუფების კამპანიაა ჩემს წინააღმდეგ“

რატომ აკრიტიკებს თავის გუნდს და რა კითხვები აქვს პროკურატურასთან თამარ კორძაიას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

დაგვიანებული გამოძიება, მუდმივი მორატორიუმი ნაციონალური მოძრაობის მიმართ, საკუთარი თავის გულუხვი პრემიებით დაჯილდოება, ამომრჩევლის გვერდისავლით მიღებული კანონები — „ოცნებამ“ უკვე მეორე საპარლამენტო ციკლი დაასრულა და მისი გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების შეფასების დრო დგება. „ვერსიას“ ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი თამარ კორძაია გიგი უგულავას დაპატიმრების, პრემიების, საარჩევნო გარემოს, მეორე ტურისა და ხელისუფლების მინუსებზე ესაუბრება.

— მთავრობის სხდომის ერთ-ერთ საკითხად „ოცნების“ პარტაქტივის მიერ ანაკლიაში ტყვიებით აღნიშნული გამარჯვება იქცა. ამ და სხვა დარღვევების ფონზე, შემიფასეთ არჩევნები და საარჩევნო გარემო მეორე ტურის წინ?

— ანაკლია, როგორც აღმოჩნდა, ამ არჩევნებზე პრობლემური ქალაქი იყო. იქ, ერთ-ერთ უბანზე, ჯერ დაკარგული შვილის დედა შეიჭრა და საარჩევნო პროცესი ჩაშალა. ახლა ეს სროლა... ზოგადად, საარჩევნო გარემოზე ამით ვერ ვიმსჯელებთ, ეს კონკრეტული ხარვეზებია. არჩევნების კარგად ჩატარება ხელისუფლების ვალდებულებაა, ანაკლიის შემთხვევაში კი ეს ხარვეზები ხელისუფლების ბრალი არ იყო.

— თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ ქალის შვილის გაქრობის ამბავი სწორედ ხელისუფლებამ არ გამოიძია.

— ეს საარჩევნო გარემოს არ ეხება. გამოძიება წინ მართლაც ვერ მიიწევს და ამ ქალს უფლება აქვს, გაარკვიოს, მისი შვილი მოკლეს, ცოცხალია თუ არა და სად არის. მეორე შემთხვევა ნამდვილად სამარცხვინო ფაქტი იყო. თან გაუგებარია, მოგება ასეთი საზეიმო და სასიხარულო რატომ არის, როცა დიდ და მძიმე პასუხისმგებლობასთან ასოცირდება. ცილს ვერავინ დაგვწამებს, რომ ვინმეს ხელი დავაფარეთ, ის კონკრეტული ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული.

— თბილისის არჩევნების მეორე ტური თქვენთვისაც მოულოდნელი და მიუღებელი იყო?

— სულაც არა, პირიქით, ეს დემოკრატიის ნიშანია. მეორე ტურის გამომწვევი მიზეზიც ბევრია; აქტუალურია სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომლითაც ხალხი უკმაყოფილოა. ხალხს მძიმე დაკვეთა აქვს, ყველანი ციხეში გაუშვითო, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, ადამიანები დასაბუთებულად დაიჭირონ. ეს, ხალხმაც უნდა გაიაზროს. ეჭვი არ მეპარება, გიგი უგულავა ყველა იმ ფინანსური მაქინაციის მონაწილეა, რაშიც ბრალს სდებენ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების პირობებში, სასამართლო პროცესები ორ დღეში და 2 მოწმის ჩვენებით არ სრულდება.

— როცა მთავარი დაკვეთა სამართლიანობის აღდგენაა და წინ მეორე ტურია, დაკითხვაზე უგულავას ახლა დაბარება წინასაარჩევნოდ დაგეგმილს ჰგავს. მოსაგებად ეს სტრატეგია აირჩიეთ?

— მოსახლეობის მოთხოვნაა, გიგი უგულავა მარტო დავკითხოთ კი არა, დავიჭიროთ. „სითი პარკით“ მთელი საზოგადოება უკმაყოფილოა და ვფიქრობ, ხელისუფლებას პოლიტიკოს ალეკო ელისაშვილის მიერ წინწამოწეულ საკითხზე ადეკვატური რეაგირება ჰქონდა.

— ელისაშვილამდე ეს თემა სხვადასხვა პოლიტიკოსებმა ათასჯერ წამოწიეს, თუმცა „ცხელი“ მხოლოდ წინასაარჩევნოდ გახდა, რატომ?

— უგულავას შესახებ ინფორმაციას პროკურატურა გუშინ ვერ მოიტანდა. ეს დაგროვილი მასალაა, მაგრამ, როცა საზოგადოების ინტერესი რაღაც თემაზე იზრდება, ჩვენი ვალდებულებაა რეაგირებაა. უბრალოდ, პროცესს მეორე ტური დაემთხვა. გაცილებით არაჯანსაღი უგულავას დაკავება იქნებოდა.

— იგივე სისხარტით პროკურატურამ შვილგამქრალი ქალის ტრაგედიას რატომ არ უპასუხა?

— ეს კითხვა პროკურატურასა და შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს უნდა დაუსვათ. მაინტერესებს, რას აკეთებენ ამ და სხვა საქმეებზეც. ამას მეც სიამოვნებით გავიგებდი. პროკურატურასთან კითხვები მეც მაქვს.

— ეს არ არის მისაღები პასუხი, რადგან ხალხს აინტერესებს, სად არის დაპირებული საგამოძიებო კომისიები პარლამენტში, გამოძიების შედეგები გახმაურებულ მკვლელობებზე?

— ეს ყველაფერი ისე სწრაფად ვერ მოხერხდა, როგორც გვეგონა, თუმცა თემები დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მეც ვსვამ კითხვებს — ბოლო ბოლო, რით ვერ დასრულდა გირგვლიანის საქმის გამოძიება?! მეც კრიტიკული ვარ აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი.

— ძველი თემაა, მაგრამ აქტუალობას არ კარგავს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის გამო მორწმუნეთა ნაწილში პერსონა ნონ გრატად შეირაცხეთ. ეს ყველაფერი ამად ღირდა?

— კანონი მიღებულია და მოქმედებს. ისეთი სასულიერო პირებიც არიან, ვისაც მიაჩნია, რომ სწორ გზას ვადგავარ, ხოლო რადიკალების ჯგუფი ანტისახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებს და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს.

— მაჟორიტარად არჩევამდე, თქვენზე ამბობდნენ, პარლამენტში შევა თუ არა, გეების ქორწინების ლობირებას დაიწყებსო. ალბათ, ეს კანონიც ამის შესავლად აღიქვეს და საერთოდ, რატომ გასდევს თქვენს კარიერას გეების თემა ლაიტმოტივად?

— ეს ექსტრემისტული ჯგუფების ანტიკამპანიაა ჩემს წინააღმდეგ. ხალხი ხედავს რას ვლობირებ. ის, რასაც არასაპარლამენტო ოპოზიცია აკეთებდა, ჩვეულებრივი ანტიპიარია კანდიდატის, დეპუტატისა თუ პარლამენტის წევრის წინააღმდეგ. ეს არაკეთილსინდისიერი ბრძოლაა! არ გამიჭირდება, თუნდაც ღია ეთერში დავჯდე და ნებისმიერს ავუხსნა, რა საკითხებს ვლობირებ პარლამენტში. უბრალოდ, ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. როცა დავინახავ, ოპოზიციის „მხილება“ არ დამჭირდება, ამაზე ვილაპარაკებ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს არავითარი გაგრძელება აღარ ექნება. არასაპარლამენტო ოპოზიცია ამ თემით მანიპულირებდა. ისინი ხმაურობენ და იმაზე დიდ ძალად ჩანან, ვიდრე სინამდვილეში არიან.

— 10% არც ისე ცოტაა, მით უმეტეს, თქვენივე ამომრჩეველი ამბობს, რომ პარლამენტის ეს შემადგენლობა მას სულაც არ აურჩევია.

— ეს მიამიტური დამოკიდებულებაა. ჩვენ ჯერ კიდევ ინფანტილურები ვიყავით და გვჯეროდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას პიროვნულად გადაარჩენდა. 2012 წელსაც კოალიციას იგივე ლიდერები ჰყავდა და ისინი სწორედაც ხალხმა აირჩია, ამიტომ ახლა ეს პრეტენზიები ჩემთვის გაუგებარია.

— წელიწადზე მეტია, ნაძალადევის მაჟორიტარი ხართ — რა შეცვალეთ ამ რაიონის მოსახლეობის სასიკეთოდ?

— ვიღებ ძალიან ბევრს წერილს, თხოვნასა და რჩევას ჩემი ამომრჩევლისგან. სხვათა შორის, მომწერეს, რომ ხალხს სულაც არ აინტერესებს მეორე ტური, რადგან თბილისის „მარშუტკებში“ იხუთებიან. მერიას მივმართე ამის შესახებ. რაიონში რამდენიმე მსხვილი პრობლემა იკვეთება — სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებია მოსაწესრიგებელი, მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას კი სახლი თავზე ენგრევა. ამ საკითხების შესრულებას თვითმმართველობისგან მოვითხოვ. ამის შესახებ, ბიუჯეტის ფორმირების დროს მივწერე კიდეც შესაბამის კომიტეტს.

— მაჟორიტარის ფუნქცია შესაბამის უწყებებთან ამბის მიტანაა მხოლოდ?

— ჯერჯერობით, მხოლოდ ამბისმიმტანები ვართ. აღშფოთებული ვარ, რომ მერია და საკრებულო ჩემ მიერ დასმული პრობლემური საკითხებით არ დაინტერესებულა. დარწმუნებული ვარ, ნარმანიას პირობებში, ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ისე, მაჟორიტარს სხვა ფუნქცია არც აქვს — ხალხს ვხვდებით. პრობლემების გადაჭრის მექანიზმი არ გვაქვს.

— აბა, რა აზრი აქვს ამ შეხვედრებს ან რას შეცვლის კიდევ ნაძალადევის 4 მაჟორიტარის არჩევა საკრებულოში?

— ის 4 ადამიანი, ვინც ხალხმა თბილისის საკრებულოში აირჩია, მომწონს. ჯერ დრო არ დამდგარა, მათი საქმიანობა შევაფასოთ, ეს 1 წლის მერე გამოჩნდება. ის ხალხი, ვინც კონკრეტული პრობლემით მოდის ჩემთან, ახლა პირდაპირ ამ 4 ადამიანთან მივა და თუ არც ისინი მოახდენენ რეაგირებას, პარლამენტის ტრიბუნიდან გავახმოვანებ, რომ საკრებულო არ მუშაობს! ბოლოსდაბოლოს, სახელისუფლო გუნდში დავსვამ ამ საკითხს. ხელისუფლების კრიტიკის უფლება მაქვს, რადგან საკუთარი ამომრჩევლის დახმარებაში ხელი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლმა არ უნდა შემიშალოს. მეტიც, „ოცნების“ მიმართ გაცილებით კრიტიკული ვიქნები, ვიდრე ნაციონალების მიმართ ვიყავი.

— კრიტიკული პრემიების დარიგებისას არ ხართ? საკანონმდებლო ინიციატივა, რაც მთავრობამ მიიღო, პრემიების ჩამორიგების პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისია?

— აბსოლუტური არა, მაგრამ რაღაც დოზით აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის უფლება პარლამენტს აქვს. ამ თემაზე თინა ხიდაშელს ვესაუბრე, რომელიც პრემირების სისტემის შესახებ სრულყოფილი ინიციატივის გაკეთებას აპირებს. მეც ამ კანონის ერთ-ერთი თანაავტორი ვიქნები. საქართველოს მთავრობის ინიციატივა კი კარგია, მაგრამ არასაკმარისი, რადგან იგი აღმასრულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე არ ვრცელდება. პრემიების თემა, დაგვიანებული გამოძიება და ცუდი პიარი — სწორედ ჩვენი ამ მინუსების შედეგია ის, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებზე ამდენი ხმა მიიღო.

ნიკოლა სარკოზი ჩვენების მიცემის მიზნით დააკავეს

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საქმეზე ჩვენების მიცემის მიზნით დააკავეს. „როიტერის“ ინფორმაციით, ნიკოლა სარკოზი 1 ივლისს, დილით, პარიზის გარეუბანში ქალაქ ნანტერის პოლიციის განყოფილებაში მივიდა. „ფრანს პრესის“ ცნობით კი, გამომძიებას ქვეყნის ყოფილი ლიდერის დაკავების უფლება მხოლოდ 24 საათის განმავლობაში აქვს. თუმცა, „ბიბისი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ გამომძიებლებს შეუძლიათ, სარკოზის დაკავების 24-საათიანი ვადა გაახანგრძლივონ. „ბიბისის“ ცნობით, გამომძიებლები ცდილობენ გაარკვიონ, შეპირდა თუ არა 59 წლის სარკოზი (რომელიც 2007- 2012 წლებში იყო საფრანგეთის პრეზიდენტი) სააპელაციო სასამართლოს მაღალი რანგის მოსამართლეს, ჟილბერ აზიბერს მონაკოში ახალ თანამდებობას საჭირო ინფორმაციის სანაცვლოდ.

გამომძიებლები მიიჩნევენ, რომ ექსპრეზიდენტს შეეძლო უკანონოდ მოეპოვებინა სასამართლოს ინფორმაცია. კერძოდ, უსმენდნენ თუ არა მის ტელეფონს იმის გასარკვევად, უფინანსებდა თუ არა მოამარ კადაფი სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიას. ამასთან, ჟილბერ აზიბერი და კიდევ ერთი მოსამართლე პატრიკ სასო, ასევე სარკოზის ადვოკატი ტიერი ჰერცოგი სასამართლომ დაკითხვაზე 30 ივნისს.

„ბიბისის“ ცნობით, საფრანგეთში ეს სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ გადადგმული უპრეცედენტო ნაბიჯია. 2011 წელს მის წინამორბედ ჟაკ შირაკს პარიზის მერობის დროს თანხების გაფლანგვისთვის პირობითი პატიმრობა მიესაჯა.

საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის სტეფან ლე ფოლის განცხადებით, სასამართლო სისტემაზე არანაირი პოლიტიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია: **„სასამართლო იძიებს საქმეს და მას ბოლომდე მიჰყვება, ისევე, როგორც ყველა სხვას, სარკოზისაც შეუძლია წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე“.**

გასული წლის მარტში ნიკოლა სარკოზის მიმართ აღიძრა საქმე 2007 წელს მისი წინასაარჩევნო კამპანიის არალეგალური დაფინანსების ბრალდებით.

სარკოზი ეჭვმიტანილი იყო საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ქალბატონის — ლილიან ბეტანკურისგან რამდენიმე ათასი ევროს სახით შემოწირულობის აღებაში, ხოლო სანაცვლოდ ლილიან ბეტანკური გადასახადებისგან გაათავისუფლა. 2012 წლის დეკემბერში კი ფრანგმა ბიზნესმენმა ზაიდ ტაკიემენმა განაცხადა, რომ აქვს ლიბიის ხელისუფლების მიერ სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მტკიცებულებები. მოგვიანებით, ფრანგულმა ონლაინგამოცემა MediaPart-მა გამოაქვეყნა დოკუმენტები, სადაც აღიშნული იყო, რომ ლიბიის ხელისუფლებამ 50 მილიონი ევრო გადარიცხა სარკოზის საარჩევნო შტაბში.

ამასთან, ნიკოლა სარკოზიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას.

„ვერსიანიუსი“

C ჰეპატიტით დაავადებული პირებისთვის ძვირადღირებული მედიკამენტი 60%-იანი ფასდაკლებით გაიცემა

1 ივლისიდან, C ჰეპატიტით დაავადებული პირებისთვის ძვირადღირებული მედიკამენტი 60%-იანი ფასდაკლებით გაიცემა. ძვირადღირებული მედიკამენტის — პეგილირებული ინტერფერონი და რიბავერინის ბენეფიციართათვის ფასდაკლებით შეძენა შესაძლებელია მხოლოდ PSO-ს აფთიაქში, იოსებიძის ქ. №60-ში.

„ინტერპრესნიუსი“

სავარაუდოდ, ნიკო ფიროსმანის საფლავი იპოვეს

ნაპოვნია ნიკო ფიროსმანის სავარაუდო საფლავი. როგორც კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კუკიის სასაფლაოზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია საფლავის ქვა, წარწერით: **„შეიწყალე, უფალო, ნიკალა!“.**

სამინისტროს ინფორმაციით, ჟურნალისტმა მაია რამიშვილმა საკუთარი რამდენიმე მეგობარი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ფოლკლორისტები — ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე, მწერალი კოტე ჯანდიერი და ხელოვნებათმცოდნე ეკა კიკნაძე გუშინ სწორედ იმ ადგილას მიიწვია, სადაც სავარაუდოდ, ნიკო ფიროსმანის საფლავი ეგულება.

„მაია რამიშვილის მოსაზრება გარკვეულ არგუმენტებს ეფუძნება. ჟურნალისტის მონათხრობით, ამ საფლავს დაახლოებით ერთი თვის წინ წააწყდა კუკიის სასაფლაოზე, მშობლების საფლავების შორიახლოს. მისი ვარაუდი რამდენიმე ძალიან თვალშისაცემ ფაქტს ეყრდნობა“, — აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

თავად მაია რამიშვილი კი, გადაჭრით არ ამბობს, რომ ნიკო ფიროსმანის საფლავი აღმოაჩინა, თუმცა ქვა რომ მეცნიერულად შესასწავლია, ეს ცხადია: **„ამას უკვე ფაქტს კი არა, არგუმენტებს უფრო ვუწოდებდი. არგუმენტებში ვგულისხმობ დაბალი სოციალური ფენისთვის დამახასიათებელ საფლავის ქვას, მის მდებარეობას, სიძველეს, ზედაპირზე გამოსახულ ზრდასრულ მამაკაცს და რაც მთავარია, ქვის ერთ მხარეს ამოტვიფრულ წარწერას – „შეიწყალე, უფალო, ნიკალა“. გამორიცხული არაა, ეს ინფორმაცია მალე ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისთვის“.**

მაია რამიშვილის მოსაზრებებს იზიარებენ ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე და საფლავის ქვების ცნობილი მკვლევარები ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული.

ამასთან, ეთერ თათარაიძე იხსენებს ერთი ხანდაზმული ქალბატონის მონათხრობს, ბავშვობაში როგორ ადიოდა ხოლმე კუკიის სასაფლაოზე, ეკლესიის ხელმარცხნივ მდებარე ნიკალას საფლავზე. ამირან არაბულის ვარაუდით კი, ეს ქვის სრული სიმაღლე არ უნდა იყოს. ქვის სიღრმეში, წარწერის ქვეშ აუცილებლად იქნება მითითებული გარდაცვალების თარიღი. დღემდე არსებულ ვერსიებს შორის, თითქოს საფლავი პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა ან თუნდაც — კუკიაზე, ოღონდ ეკლესიის მარჯვენა მხარეს, ყველაზე რეალური ეს უკანასკნელია.

როგორც საფლავის მონახულების დროს აღნიშნეს, სავარაუდოდ, სწორედ ეს არის ფიროსმანის საფლავი და აუცილებელია, სპეციალისტებმა სასწრაფოდ დაიწყონ საფლავის კვლევა, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ სათანადო ნებართვის გარეშე ამას ვერავინ დაიწყებს.

კუკიის სასაფლაოზე აღმოჩენილი საფლავის ქვით დაინტერესდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, რომელიც მკვლევარებს თანადგომას დაჰპირდა.

„ინტერპრესნიუსი“

პანკისის ხეობის სოფლები გარესამყაროს მოწყდა

ძლიერი წვიმის შედეგად, პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელი გარესამყაროს მოწყდა. ახმეტა-ბაწარის გზაზე წაღებულია მდინარე მათთახევის ხიდი და გარესამყაროსაა მოწყვეტილი პანკისის ხეობის სოფლები: დუისი, ჯოყოლო, ომალო და დუმასთური. დაიტბორა სახლების ეზოები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

სოფელ საკობიანოში ადგილობრივი 63 წლის ჯონდო ფარეულიძე, მდინარე ალაზანში, ორ დინებას შორის ჩარჩა. საბედნიეროდ, სამსაათიანი სამაშველო სამუშაოების შემდეგ, საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლებმა მისი სამშვიდობოს გამოყვანა შეძლეს. როგორც ფარეულიძე აცხადებს, მდინარე ალაზანი მაშინ ადიდდა, როდესაც შეშის შესაგროვებლად იმყოფებოდა. სამაშველო სამუშაოების ადგილზე იმყოფებოდა კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილიც.

„ინტერპრესნიუსი“

გიგი უგულავამ სახელმწიფოს კუთვნილი 1 086 718 ლარი გაფლანგა

მერყოფილ ნაციონალს 7-11 წლამდე პატიმრობა ემუქრება?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის უფროსს, გიგი უგულავას სისხლის სამართლის ბრალი წარუდგინეს. 48-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ, ახალი ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, გიგი უგულავას 7-11 წლამდე პატიმრობა ემუქრება. როგორც საგამოძიებო სამსახურში განმარტეს, საქმე ეხება 2007 წლის 7 დეკემბერს „სითი პარკსა“ და თბილისის მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლითაც უგულავას, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის — 1 086 718 ლარის გაფლანგვა ედება ბრალად. პროკურატურა უგულავასთვის აღმკვეთი ღონისძიებად 50 ათასლარიან გირაოს ითხოვს. სასამართლო პროცესი, დღეს 2 ივლისს გაიმართება.

სისხლის სამართლის საქმის დეტალები

გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 7 დეკემბერს, შპს „სითი პარკსა“ და თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარის გაცემის შესახებ“, რომლის თანახმად, თბილისში პარკირების მომსახურების უფლება, ექსკლუზიურად შპს „სითი პარკს“ დაევალა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში „ვერსიას“ განუმარტეს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე, არასწორი პარკირების შემთხვევაში, მოქალაქეებისგან მიღებული შემოსავლის (ჯარიმების) 60% თბილისის მთავრობას, ხოლო 40% „სითი პარკს“ დარჩებოდა. „სითი პარკს“ „დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისათვის“ მოქალაქეთა დაჯარიმების უფლებაც გადასცეს.

გიორგი უგულავამ შპს „სითი პარკის“ სასარგებლოდ, 2009 წლის 11 თებერვალს გამოცემული ბრძანების დანართში, განზრახ მიუთითა არასწორი სახაზინო კოდი, რის საფუძველზეც, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის, თბილისელების მიერ გადახდილი ჯარიმის თანხის 40%, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად, შპს „სითი პარკის“ ანგარიშზე გადაირიცხა. ამავდროულად, გიორგი უგულავას გადაწყვეტილებით, თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, 2011 წლის 6 აპრილს შევიდა ცვლილება №3, რომლითაც ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების განაწილების წესი ამ კომპანიის სასარგებლოდ შეიცვალა. კერძოდ, იმ პერიოდში, შპს „სითი პარკი“ სოლიდურ მოგებას იღებდა და სახელმწიფოს მხრიდან კომპანიისთვის დამატებითი შეღავათის დაწესების აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ ამ ცვლილებით, კომპანიამ თბილისელების მიერ გადახდილი თითოეული ჯარიმიდან, დამატებით 3 ლარი მიიღო, ხოლო ჯარიმის 40%, კვლავ კომპანიის ანგარიშზე მოხვდა.

კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს დარღვევა? „ვერსიას“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განუმარტეს, რომ სხვადასხვა სახის ჯარიმას, რომელიც სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება, სხვადასხვა კოდი აქვს. გიგი უგულავამ კი გამოსცა ბრძანება, რომლითაც ორივე ჯარიმის კოდი, როგორც არასწორი პარკირების, ასევე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის, გააერთიანა. მეტიც, ამის შემდეგ გადაწყვიტა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის თუ, პირობითად, მოქალაქე 10 ლარს გადაიხდიდა, აქედან მოჭრილი 3 ლარი, უშუალოდ, თბილისის ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო, ხოლო დარჩენილი 7 ლარი „სითი პარკსა“ და თბილისის მერიას თანაბრად უნდა გაეყო: **„თბილისის მერმა გიორგი უგულავამ, ცენტრალური ბიუჯეტის განზრახ იგნორირებით, კანონთან შეუსაბამო ბრძანების საფუძველზე, შპს „სითი პარკისთვის“ დამატებითი შეღავათების დაწესებით, კომპანიის სასარგებლოდ, მთლიანობაში სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა — 1 086 718 ლარი გაფლანგა. ამ საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით ითვალისწინებს“.**

30 ივნისს, გიგი უგულავა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე დაიბარეს. მოგვიანებით, საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, გიორგი გრძელიშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და მედიას ამცნო, რომ უგულავას სისხლის სამართლის ბრალი წარუდგინეს: **„გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ გიგი უგულავა, საგამოძიებო მოქმედებებისთვის თავის არიდებას აპირებდა — ქვეყნიდან გასვლას გეგმავდა. მას აღმკვეთი ღონისძიება უკვე შეფარდებული აქვს სხვა საქმეზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, უგულავა შესაბამისი უწყებების გაფრთხილების გარეშე, საზღვარგარეთ წასვლას აპირებდა“.**

მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის განცხადებით, უგულავასთან მიმართებაში მორატორიუმის პირობები არ დარღვეულა, რადგან საგამოძიებო სამსახურს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ბრალდებული ქვეყნის დატოვებას აპირებდა.

როგორც ირაკლი შოთაძემ განაცხადა, დედაქალაქის ყოფილ მერს ქვეყნიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია არც პროკურორისთვის და არც მოსამართლისთვის მიუწოდებია: **„საგამოძიებო სამსახურმა მიიღო ინფორმაცია, რომ უგულავა საქართველოდან გამგზავრებას აპირებდა და უკან აღარ დაბრუნდებოდა, რაც დასტურდებოდა იმით, რომ თვითმფრინავის ბილეთი ჰქონდა აღებული. ასევე ბილეთი ჰქონდა აღებული და საქართველოდან წასული იყო მისი ოჯახის წევრიც. გიგი უგულავა ბრალდებულის სტატუსით სარგებლობდა და ამ საქმეზე მიმდინარეობს სასამართლოში არსებითი განხილვა. უგულავას გამგზავრების შესახებ არ შეუტყობინებია არც პროკურორისთვის და არც მოსამართლისთვის და ვინაიდან მის მიერ ქვეყნის დატოვების ვარაუდი საკმაოდ მაღალი იყო, პროკურატურამ საგამოძიებო სამსახურთან ერთად ზომების მიღება გადაწყვიტა, რათა გიგი უგულავას კონკრეტულ საქმეზე პასუხისმგებლობისთვის თავი არ აერიდებინა“.** მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის თქმით, უგულავა ვალდებული არ იყო, ქვეყნის დატოვების შესახებ ინფორმაცია სასამართლოს ან პროკურატურისთვის მიეწოდებინა, თუმცა მისი ქმედება საგამოძიებო უწყების ინფორმაციას დაემთხვა: „შესაბამისად, ვალდებულები ვიყავით, რეაგირება მოგვეხდინა. აღმკვეთი ღონისძიების შუამდგომლობით სასამართლოს მივმართეთ და მოვითხოვთ გირაოს შეფარდებას“.

„სითი პარკი“ — ნაციონალი ჩინოვნიკების შემოსავლის წყარო

წელიწადნახევრის წინ, მწერალმა, **ვაჟა ოთარაშვილმა**, რომელიც ახლა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წევრია, „ვერსიას“ ექსკლუზიურად გადასცა დოკუმენტები, რომლითაც კომპანია „სითი პარკის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავდა. „სითი პარკი“, რომელიც თბილისის მერიის ნაციონალი ჩინოვნიკების შემოსავლის წყარო იყო, უხეშად არღვევდა ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, რადგან თბილისის მასშტაბით, მხოლოდ ის იყო პასუხისმგებელი პარკინგის სისტემაზე.

დოკუმენტებით ირკვევა, რომ „სითი პარკი“, რომლის წლიური მოგება, მინიმუმ 32 000 000 ლარია, მხოლოდ 200-ლარიანი საწესდებო კაპიტალით შეიქმნა. კომპანიის დამფუძნებლები ისრაელის მოქალაქეები არიან, რომლებსაც საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობა აქვთ, თუმცა სერიოზულ ეჭვს ბადებს ფაქტი, რომლის საფუძველზეც, „სითი პარკის“ დამფუძნებლებში შპს „შოჰარ პარკინგ სერვისი“ (50%) და შპს „ამაგონი“ (50%) ფიგურირებენ. ამის შემდეგ სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერში ჩნდება შპს „პარკინგ ინთერნეიშენალი“, რომელიც კომპანიის 100%-იან წილს ფლობს და აფუძნებს „სითი პარკს“. კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები არიან ისრაელის მოქალაქეები ნათან შორერი და პილა დავიდი, რომლებიც კომპანიის დირექტორებად არიან რეგისტრირებულები, მაგრამ აქაც ეჭვს ის ფაქტი იწვევს, რომ „სითი პარკის“ საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელები პერიოდულად იცვლებიან. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ისრაელის მოქალაქეებს, საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელებზე მინდობილობა აქვთ გაცემული, საეჭვო მხოლოდ ისაა, რომ საკმაოდ მომგებიანი და სერიოზული კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარ წილს კი არ ყიდის, სხვა პირებს მფლობელობაში გადასცემს: **„თუკი საჯარო რეესტრის ამონაწერს ყურადღებით გაეცნობით, ნახავთ პარტნიორის წილზე გირავნობის უფლებას, სადაც წერია, რომ კრედიტორია „რესპუბლიკა ბანკი“, მესაკუთრე — შპს „სითი პარკი“, გირავნობის საგანია არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი, კერძოდ, საღებავის გამომფრქვეველი 6 ცალი, საბურღი ხელსაწყო 2 ცალი, ავტოსადგომის შლაგბაუმი 1 ცალი, ავტოსადგომის შლაგბაუმის ნაწილები 2 ცალი, გენერატორი 1 ცალი, ცისტერნა 1 ცალი და პროჟექტორი 1 ცალი. არადა, დედაქალაქში 650 000 მანქანაა და თითოეულის მფლობელის წლიური გადასახადი 50 ლარია, რაც ნიშნავს, რომ „სითი პარკის“ წლიური შემოსავალი 32 500 000 ლარია. როცა „სითი პარკს“ ავტომობილი საჯარიმო სადგომზე გადაყავს, მის მფლობელს 60 ლარს ახდევინებს და ადმინისტრაციული ჯარიმის სახით, დამატებით 10 ლარის გადახდაც აუცილებელია. სოლიდური ჯარიმების მიუხედავად, ეს კომპანია ჩვენ, ავტომობილის მომხმარებლებს, სანაცვლოდ არაფერს გვთავაზობს, რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებით სამართალს არღვევს“.**

ვაჟა ოთარაშვილისვე განმარტებით, „სითი პარკის“ ფუნქცია მხოლოდ ისაა, თბილისში, სპეციალური თეთრი საღებავით შემოსაზღვროს ტერიტორია, სადაც მანქანის გაჩერებაა შესაძლებელი, თუმცა მანქანის უსაფრთხოებაზე„სითი პარკი“ ამაზე პასუხისმგებელი არ არის. მოქალაქე კი წელიწადში 50 ლარს იხდის და რა თქმა უნდა, ავტოსადგომზე დაზიანებული, ავტომობილი არ უნდა დახვდეს.

„საქართველოს ბანკი“ დამწყებ ბიზნესმენებს ფინანსებას იწყებს

VEGA – ახალი პროექტი სტარტაპების მხარდასაჭერად

„საქართველოს ბანკის“ ახალი ინიციატივა დამწყებ ბიზნესმენებს დაინტერესებს. ბანკის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, დაეხმარონ იმ ადამიანებს, ვისაც სურთ, წამოიწყონ საქმე და ამის არც სათანადო გამოცდილება აქვთ, არც ფინანსები. სწორედ დამწყები ბიზნესმენების ხელშეწყობას ემსახურება საქართველოს წამყვანი ბანკის ახალი პროგრამა, სახელწოდებით VEGA Startup Lab (VEGA). VEGA ბიზნესის დაწყების მსურველებისთვის, საჭირო განათლებისა და საწყისი კაპიტალის მიღებას უზრუნველყოფს. „საქართველოს ბანკის“ გადაწყვეტილება, დააარსოს დამწყები ბიზნესის საინვესტიციო პროგრამა, განპირობებულია ბანკის სურვილით, დაეხმაროს დამწყებ ბიზნესს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სიჯანსაღეს, შესაბამისად, ქვეყნის სამომავლო განვითარებას.

ირაკლი გილაური, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი: **„გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ დამწყებ ბიზნესს. საქართველოში, დამწყები ბიზნესისთვის კაპიტალი თითქმის არ არსებობს. თუ არსებობს, ლიმიტირებულია. შესაბამისად, ბევრი პროექტი თუ იდეა ვერ ფინანსდება. პარალელურად, ბევრმა დამწყებმა ბიზნესმენმა არ იცის, როგორ გააკეთოს თავისი იდეის პრეზენტაცია და მოიზიდოს ინვესტიცია. პროგრამით VEGA Startup Lab (VEGA), გვინდა, მცირე ბიზნესს დავეხმაროთ არა მხოლოდ კაპიტალით, არამედ ვასწავლოთ ბიზნესგეგმის შექმნა, პრეზენტაციის მოწყობა, სხვადასხვა რისკის განსაზღვრა, გაყიდვების წარმოება. მათ ბიზნესრიკების გარდა, იურიდიული და საგადასახადო რისკების შესახებაც მივაწვდით ინფორმაციას. დაინტერესებულ ადამიანებს ურთიერთობა ექნებათ როგორც VEGA-ს ექსპერტებთან „საქართველოს ბანკის“ წამყვან მენეჯრებთან, ასევე საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში სრულიად უსასყიდლოდ, დაესწრებიან ლექციებს და ისწავლიან ბიზნესისთვის საჭირო ყველა საგანს. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთანამშრომლობა წარმატებული იქნება. 3-6 თვის განმავლობაში, ბანკი გადაწყვეტს, დაახლოებით 50 მონაწილიდან, რომლის ბიზნესი დააფინანსოს საწყისი კაპიტალით და არა სესხით“.**

პროექტ VEGA-ს ხელმძღვანელის, ვასილ რევიშვილის განმარტებით, პროგრამა სამი ეტაპისგან შედგება. პირველი სამი თვის განმავლობაში, იდეების ავტორები გაივლიან ინტენსიურ საგანმანათლებლო კურსებს, რომელიც საგანგებოდაა მორგებული დამწყები ბიზნესის მართვის საჭიროებებზე. საგანმანათლებლო ეტაპის შემდეგ, დაიწყება იდეის დახვეწის პერიოდი და კომერციულად გამართლებული ბიზნესგეგმის მომზადება. მოსამზადებელი პერიოდის ბოლოს, მონაწილეები წარმოადგენენ დეტალურ ბიზნესგეგმას საგანგებოდ შეკრებილი კომისიის წინაშე და შეირჩევა პროექტები, რომლებიც VEGA-სგან საწყის კაპიტალს მიიღებენ. არჩეული პროექტების ავტორები იმუშავებენ VEGA-ს ოფისში, სადაც შესაძლებლობა ექნებათ, პროგრამის სხვა მონაწილეებს დაუკავშირდნენ საკუთარი იდეების შემდგომი განვითარების მიზნით. ეს კი, ტრამპლინი იქნება შემდეგი ეტაპისთვის – დამატებითი კაპიტალის მოძიება ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისგან. სამივე ეტაპი 15 თვემდე გაგრძელდება. პროგრამის 50-ვე მონაწილეს ტრენინგები უფასოდ ჩაუტარდებათ.

ვასილ რევიშვილი: „ვეგა“ ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს ჰქვია, რომელიც დედამიწიდან ჩანს. ჩვენი პროექტის სახელწოდება მეტყველებს იმ ამბიციაზე, რომელსაც მასში ვდებთ. შესაძლოა, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ მართლაც გვინდა, შევქმნათ ბიზნესვარსკვლავები და ჩვენი ტრენინგების შემდეგ, ყველა არა, ერთი-ორი მაინც გავიდეს საერთაშორისო მასშტაბებზე. საქართველოში გავრცელებული მოსაზრებაა, რომ სტარტაპის დაფინანსება რთულია. „საქართველოს ბანკმა“ გადაწყვიტა დაანგრიოს ეს მოსაზრება და აჩვენოს ყველას, რომ საქართველოში შესაძლებელია დამწყები ბიზნესის წარმატებით დაფინანსება“.

როგორც საგანმანათლებლო, ისე ბიზნესგეგმის მომზადების ეტაპზე, პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული „საქართველოს ბანკის“ მმართველი გუნდის წევრები, რომლებიც საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ მონაწილეების მიერ იდეების დამუშავებასა და განვითარებას. დამატებითი კაპიტალის მოძიების ეტაპზე, VEGA უზრუნველყოფს ცნობილი უცხოელი ინვესტორების მოწვევას კაპიტალის მოზიდვის მიზნით.

VEGA ღიაა ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც სურს საკუთარი ბიზნესის დაწყება, სჯერა საკუთარი თავის და შეუძლია, ძირითადი დრო VEGA-ში სწავლასა და იდეის განვითარებას მოახმაროს. VEGA-ში მოსახვედრად, იდეის ავტორმა უნდა ატვირთოს საკუთარი იდეა ვებგვერდზე www.vegalab.ge, ნებისმიერი ფორმით. ყველაზე საინტერესო იდეების ავტორებს მიიწვევენ თავისი ჩანაფიქრის წარსადგენად კომისიის წინაშე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის VEGA-ში მონაწილეობაზე.

VEGA უზრუნველყოფს ყველა იდეის კონფიდენციალობას. ამასთან, იდეების დაცულობას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ თითოეული ჩანაფიქრი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იდეის ავტორის მონაცემებზე, მის უნიკალურ ცოდნასა და უნარებზე, ანუ იმ ატრიბუტებზე, რომლის კოპირებაც ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ნინო ლურსმანაშვილი



„მასტერა“ დაკავებულია

როდის გადაწყდება გიორგი დგებუაძისა და დათა ახალაიას ექსტრადირების საკითხი

გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ დაკავებულია. ჩვენი ინფორმაციით, ინტერპოლის მიერ ძებნილი კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი დაახლოებით ერთი კვირის წინ, ჰოლანდიაში დააკავეს. ამჟამად იგი საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება. დაწყებულია მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხის განხილვა. დგებუაძის დაკავების შესახებ ინფორმაცია მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, **ირაკლი ჩილინგარაშვილმა** დაგვიდასტურა: **„გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ ნამდვილად დაკავებულია. იგი ჰოლანდიაში დააკავეს, დაახლოებით ერთი კვირის წინ. იძებნებოდა ნავთლუღის სპეცოპერაციის გამო, მეორე საქმე კი, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტს აქვს, ესაა კონკრეტული პირის მიმართ არაადამიანური მოპყრობა. ეს მასალები მივაწოდეთ ჰოლანდიელ კოლეგებს. მათ საფუძველზე, ქვეყნებს შორის თანამშრომლობა შედგა და დააკავეს. ამ ეტაპზე მისი ექსტრადიციის საკითხი განიხილება. ის იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში“.**

დათა ახალიას მარჯვენა ხელმა, გიორგი დგებუაძემ საქართველო არჩევნების შემდეგ დათა ახალაიასთან ერთად დატოვა. „მასტერა“ საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც ზონდერჯგუფების ხელმძღვანელი. მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით (წამება), 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

გარდა ამ საქმეებისა, დგებუაძე ასევე ფიგურირებს რეინჯერ დავით ცინდელიანის, თავდაცვის სამინისტროს მზვერავის, პაატა ქარდავასა და ბათუმელი მზვერავის როინ შავაძის მკვლელობის საქმეში. როგორც შავაძის ადვოკატი როინ პაპიძე აცხადებს, 15 აგვისტოს, მკვლელობიდან ერთი დღით ადრე დათა ახალაიას დავალებით ადგილზე ჩასული იყო გია დგებუაძე იგივე „მასტერა“.

მოკლული მზვერავის მეუღლე, **ციცინო შავაძე** ამბობს, რომ ლიკვიდაციის ბრძანება უმაღლესი თანამდებობის პირებისგან იყო გაცემული: **„არის ინფორმაცია, რომ დათა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის ბრძანება იყო. სხვაგვარად, არ არსებობს, კუდ-ისა და სოდ-ის თანამშრომლებს საკუთარი ინიციატივით მოეკლათ. ფაქტია, ვიღაცის დავალებით მოკლეს. აჭარის კუდ-ის უფროსი თემურ პატარიძე იყო შემთხვევის ადგილზე, ხალხმა დაინახა. ამბობენ, რომ ამ მკვლელობაში მერაბიშვილის ბრძანებით მონაწილეობდნენ ოლეგ მელნიკოვი, დათა ახალაია, თემურ პატარიძე, გია დგებუაძე იგივე „მაიმუნა“ და კუდ-ის თანამშრომლები, რომლებმაც აღიარეს, ვესროლეთო“.**

რაც შეეხება დათა ახალაიას, როგორც მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი ჩილინგარაშვილი** აცხადებს, ბერძნულმა მხარემ მოითხოვა დამატებითი მტკიცებულება და სწორედ ამ დოკუმენტების მიწოდების შემდეგ განახლდება საექსტრადიციო პროცედურა:

— ბატონი ახალაია კვირაში ერთხელ ცხადდება ათენის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში. მისი ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, მიიღებენ შემდეგ პროცესზე, რომელიც უნდა ჩატარდეს დაახლოებით ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში. ანუ მას შემდეგ, რაც დამატებით დოკუმენტაციას წარვუდგენთ ბერძნულ მხარეს.

— **კონკრეტულად, რა მასალები გამოითხოვა ბერძნულმა მხარემ? თავის დროზე, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი ბერძნულმა მხარემ იმ მოტივით არ გადმოსცა საქართველოს, რომ მის მიმართ წარდგენილი ბრალდება ბერძნული კანონმდებლობით იყო ხანდაზმული...**

— განხილვის იმ ეტაპზე არ მისულა საქმე, სადაც ამ საკითხზე იმსჯელებდნენ. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რაღაც კატეგორიის დანაშაული იყოს ხანდაზმული. ეს დამოკიდებულია ბერძნულ მხარეზე, რომლის მოცემულობას ვერც საქართველო შეცვლის და ვერც საბერძნეთი. როცა ექსტრადიციის საკითხი იხილება, მხედველობაში მიიღება ორივე ქვეყნის ხანდაზმულობის ვადები. ჩვენთან ეს დანაშაულები არ არის ხანდაზმული. რაც შეეხება იმას, დამატებით რა მასალები გამოითხოვეს ბერძნებმა, ეს მიმოწერა არაა საჯარო. არის გარკვეული სახის დამატებითი დოკუმენტაცია, ვიდრე ეს მოითხოვება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით. რაც ევროპული კონვენციით მოითხოვეს, მივაწოდეთ, თუმცა პროცესზე წარმოიშვა სხვა ახალი გარემოებები, რაღაც საკითხები სადავო გახადა ახალაიამ და შესაბამისად, ამის გასაქარწყლებლად ბერძნულმა მხარემ მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია.

— **შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რა საკითხები გახადა სადავო ახალაიამ?**

— პროცესზე განაცხადა, რომ დანაშაულები, რომელშიც ბრალდებულია, არ ჩაუდენია და პოლიტიკური დევნილია. ამის გასაქარწყლებლად შესაბამისი დოკუმენტაცია მიწოდებული გვქონდა ბერძნული მხარისთვის, მაგრამ დამატებითი მასალები მოგვთხოვა, რაც ბუნებრივი პროცედურაა. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია ითვალისწინებს დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვნის საჭიროებას.

— **მასალები, რომლებიც გადაგზავნეთ საბერძნეთის სასამართლოში, მყარი და არგუმენტირებულია და გაქვთ მოლოდინი, რომ მათ საფუძველზე მოხდება დათა ახალაიას ექსტრადირება საქართველოში? თუ არის ამ საქმეებს შორის იგივე ნავთლუღის სპეცოპერაციის დეტალები...**

— სისხლის სამართლის ყველა იმ საქმის შესახებაა ინფორმაცია მიწოდებული ბერძნული მხარისთვის, რომელშიც ახალაიაა ბრალდებული. ესაა ნავთლუღის, სანდრო გირგვლიანის, აბულაშვილის გატაცებისა და ცემის, ასევე მოდულის შენობაში პოლიციელების ცემის ეპიზოდები. ყველა ამ საქმის ბრალდების ამსახველი დოკუმენტაცია აქვს ბერძნულ მხარს. ექსტრადიციის შუამდგომლობაც დასაბუთებულია, მსგავსი სახის დოკუმენტაციას არათუ ჩვენ, არამედ ევროპის ქვეყნებიც არ აგზავნიან. ესაა საკმაოდ სრულყოფილი საქმე, დეტალებშია ყველა ის ბრალდება, რაშიც დათა ახალაიას ბრალი ედება.

for.ge

ჩაშლილი გაქცევა და ციხის სტუმარი როლანდ ახალაია

პატიმარ გიგას პასუხი გალაკტიონს

პატიმარი №0578

ზუგდიდის ციხეს პატიმრები დაწყევლილ ადგილს ეძახიან. ეს სახელი დაწესებულებას ერთი საინტერესო ფაქტის გამო შეარქვეს — ქალაქის შუაგულში მდგარ ციხეს მტრედები და მერცხლები არ ეკარებიან მაშინ, როცა ქალაქში უამრავი მტრედია. აქ მერცხლები ბუდის აშენებას იწყებენ და... ორ დღეში სანახევროდ აშენებულ ბუდეს ტოვებენ...

რეჟიმის პირობებში ზუგდიდის ციხე სისასტიკით განთქმული იყო. პატიმრები ჰყვებოდნენ, რომ მინიმუმ კვირაში ერთხელ, ყველა პატიმარს მხოლოდ იმიტომ სცემდნენ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მოქმედი ხელისუფლების ძალა ეგრძნოთ. ყოფილა შემთხვევა, როცა ამ მიზეზით ციხეზე ნაცემი პატიმარი ზუგდიდის საავადმყოფოს არ მიუღია, გადარჩენის შანსი არ აქვსო და მსჯავრდებულებიც სიცოცხლის ბოლო წუთებს ცივ კარცერებში, ბეტონის იატაკზე ატარებდნენ. 2004 წელს ციხეში, როგორც პატიმრები ამბობდნენ, რეჟიმს პირველად „მოუჭირეს“ და მსჯავრდებულებმაც გაქცევა გადაწყვიტეს. გაქცევის გეგმა ხუთმა კაცმა შეიმუშავა. მათ მოახერხეს და ხუთი ათასი დოლარის სანაცვლოდ, ციხის ერთ-ერთ თანამშრომელს დაწესებულებაში მაკაროვის ტიპის ორი პისტოლეტი და სამი ხელყუმბარა შეატანინეს. ერთ-ერთი პატიმარი, გიგა ლ. მომხდარს ასე იხსენებს: **„საკანში ხუთნი ვისხედით. ყველაზე ნაკლები — 9 წელი მე მქონდა მოსჯილი. ახალი დაჭერილი ვიყავი. ყაჩაღობის მუხლი მქონდა და უკვე ვხვდებოდი, რომ 9 წელი აქედან ჩემი გამშვები არავინ იყო. ერთ დღეს, ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელსაც 15 წელი ჰქონდა, მშვიდად თქვა, მე გაქცევას ვაპირებ და თქვენი არ ვიციო... მაშინვე ყველამ ყურები ვცქვიტეთ. მან მარტივი გეგმა გაგვაცნო — ღამე ექიმი მოვითხოვოთ. ის მარტო არ მოვა, თანამშრომლებიც მოჰყვებიან. მძევლად ავიყვანთ, გზად შემხვედრ ოფიცრებსაც მივაყოლებთ და გავალთ. მთავარია, რეჟიმის უფროსიც ავიყვანოთ, ეგ ციხის უფროსის დეიდაშვილია და არ გაიმეტებსო...**

გარეთ იარაღი მოვიძიეთ და ჩვენი სოფლელი „გავკერეთ“ შემოტანაზე. გაქცევის დღეც დავთქვით. ღამე ექიმი მე მოვითხოვე და ორ ექიმთან ერთად ორი ოფიცერი მოვიდა. ოთხი ადამიანის მძევლად აყვანა საკმარისად არ ჩავთვალეთ, გაგვიმეტებენ ჩვენც და ამათაც-თქო, ვიფიქრეთ და ამიტომ პოლიციელებს ერთ-ერთი თანამოსაკნე აუშარდა. მათ რაციით რეჟიმის უფროსს უხმეს, რომელიც ოთხ თანამშრომელთან ერთად ამოვიდა. რვა კაცი უკვე საქმე იყო. იარაღი ვიშიშვლეთ და გეგმის განხორციელებაც დავიწყეთ...

ციხის ეზოში მარტივად გავედით, იქ კი „ვიშკიორებმა“ ატეხეს ხმაური. ჰაერში ისროლეს რამდენჯერმე. მთელი ციხე ფეხზე დადგა. ციხის უფროსი თავის კაბინეტიდან გადმოდგა და ბოლო ხმაზე იყვირა, დაგვნებდით, თორემ ყველას დაგხოცავთო. წინ მისი დეიდაშვილი დავიყენეთ. მე მეკიდა ქეჩოში ხელი და კეფაზე იარაღი მქონდა მიდებული. სროლა არ გაბედო, თორემ შენს დეიდაშვილს კეფას გავუხვრეტ, თავი გადადებული გვაქვს-თქო, ვიყვირე. ჭიშკრის გაღება მოვითხოვეთ, მაგრამ არ გააღეს. სამხარეოს სპეცდანიშნულების რაზმი წუთებში იქ გაჩნდა და მოლაპარაკებები დაიწყო.

მოლაპარაკება მთელ ციხეს ესმოდა — ჩვენ ეზოდან ვყვიროდით პირობებს, ისინი კი ადმინისტრაციის კორპუსიდან გვპასუხობდნენ. გათენდა. სურათი ნათელი იყო, ყველა სახურავზე სპეცრაზმელი იყო ჩამჯდარი და იარაღი ჩვენსკენ ჰქონდა მოშვერილი. ჩვენი ერთადერთი უპირატესობა გახსნილი ხელყუმბარები იყო, თუ გვესროდნენ, ხელყუმბარას ავტომატურად ხელს ვუშვებდით და ჩვენს გარდა რვა მძევალი ფეთქდებოდა. დავინახეთ, რომ ციხის ეზოში შავი ჯიპები შემოვიდა და ადმინისტრაციის შენობას მიაშურეს. მხოლოდ როლანდ ახალაია ვიცანი, დანარჩენები ისე მალე მიიმალნენ, თვალი ვერ მოვკარი. სულ რაღაც ათ წუთში ციხის უფროსი ფანჯარაში გადმოდგა და დაიძახა: დაგვნებდით! უარი რომ მიიღო, ავტომატი მოიმარჯვა, გულდაგულ დაუმიზნა ჩვენი მიმართულებით და გაისროლა... მისი დეიდაშვილი მაშინვე ადგილზე ჩაიკეცა. ციხის უფროსმა არაადამიანური ხმით იღრიალა და ისევ დაგვიძახა: ხომ ხედავთ, არავის დანდობის უფლება არ მაქვს, ან გვნებდებით, ან ზუსტად 30 წამში ყველას ჩაგცხრილავთო. რეჟიმის უფროსი ჩემს ფეხებთან ფართხალებდა. ტყვია მუცელში ჰქონდა მოხვედრილი და სისხლი თქრიალით სდიოდა. მივხვდით, არ ხუმრობდნენ და მოლაპარაკება მოვითხოვეთ. ყველაფერი მალე აგვიხსნეს — ხუთივეს „სროკს“ დაგვიმატებდნენ, მაგრამ მაქსიმუმ ორ წელს, არ გვცემდნენ და არ დაგვხოცავდნენ. სხვა გზა არ იყო, დავთანხმდით და იარაღი დავყარეთ...

იმავე საღამოს თბილისში გადმოგვიყვანეს, არც ზუგდიდში და არც გზაში ხელი არავის უხლია ჩვენთვის. სამინისტროში მიგვიყვანეს და... ისე გვცემეს, რასაც გავუძელით, ალბათ ნორმალური ადამიანი ვერ გაუძლებდა... მაგრამ ნორმალურები არც ასეთ თავზეხელაღებულ გაქცევაზე ფიქრობენ, ალბათ... არ მოგვატყუეს მხოლოდ ის, რომ ორ წელზე მეტი არცერთისთვის დაუმატებიათ. მე, ჯამში, 11 გამომივიდა, დანარჩენებს მეტი“...

გიგამ სასჯელის ბოლო წლები რუსთავის №17 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გაატარა. ერთ დღეს შინ დარეკა და მამას რაღაც საქმის გაკეთება სთხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დარეკა და უკმაყოფილოდ ჩასძახა ტელეფონში, ერთი დღის საქმის გაკეთებას ერთ კვირას რატომ ანდომებო. მერე კი, როცა პასუხი მოისმინა, ხმამაღლა გადაიხარხარა და პატიმრებს უთხრა: იცით, მამაჩემმა რა მიპასუხა? შე შობელ-ძაღლო, ნახევარი საათის საქმეს 11 წელი მოანდომე და დიდი რამე, ერთი დღის საქმე ერთ კვირაში თუ ვერ მოვასწარიო... მოსკოვშია ახლა გიგა, მუშაობსო, ამბობენ.

P. S. სოციალურ ქსელებში გავრცელებული ლექსი „პასუხი გალაკტიონს“ სწორედ გიგას დაწერილია!

პასუხი გალაკტიონს

გენიოსო, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი, ყველა ჩვენგანს ავიწყდება...
მე მაოცებს, რად იგონებ, ყველა ტრფობის მლანძღავ ზღაპარს,
რომ მუდმივი ერთგულება აღარავის არ უნახავს.
რომ ივიწყებს ყველა ხსოვნას, ვისაც სატრფო მოუკვდება,
რომ სულ ყველას გლოვის შემდეგ, სხვა ტრფიალი მოუნდება.
რომ თითქოს და აღარავის, აღარ ჰქონდეს წრფელი სული,
რომ ერთ სატრფოს სამუდამოდ შემოავლოს სიყვარული.
რაღად გინდა ეგ ცინიზმი, რომ მღერიხარ დიდო გონო,
ან ვის გინდა ცოდვიანი, სტრიქონები გააგონო.
მილიონში რომ ერთია, ვიცი, ჩემი ლექსის ქება,
მაგრამ სწორედ იმ ერთშია ტრფიალების უკვდავება...
სკოლის მერხთან მუდამ ერთად იჯდა ლაღი გოგო-ბიჭი,
და უბოძა მათ უფალმა ერთმანეთის ტრფობის ნიჭი,
უბოძა და გაიხარა, ორმა ნორჩმა წრფელმა გულმა,
და ამაყად იწყო წინსვლა, ამ უბადლო სიყვარულმა.
ზეიმობდა და ხარობდა სილამაზით ორი გონი,
ტრფობის ცაზე ნავარდობდა უკვდავების ფაეტონი...
მაგრამ ბედმა ვარდის კოკრებს, გადაფურჩქვნა არ აცადა,
მოუვლინა მიწიერი უკვდავების გამოცანა...
სამუდამოდ შეაჩერა ვაჟის გულში სისხლი ცხელი,
ქალიშვილს კი მიუსაჯა ურთულესი განსაცდელი.
დაითუთქა მწუხარებით თოთხმეტი წლის გოგოს გული,
მიაცილა სამარემდე უკოცნელი სიყვარული.
დაიტირა შავი ძაძით, მოუსველა გულზე მიწა,
უწრფელესი ცრემლთა ღვარით, შეაძრწუნა დედამიწა.
ვაჟის დედას ეახლა და უთხრა — თქვენი ვარო რძალი,
და მიიღო დედამთილმა ქალიშვილი-პატარძალი.
გენიოსო, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი, ყველა ჩვენგანს ავიწყდება?!
და მის მერე სატრფოს საფლავს, არ სცილდება გოგო-ქალი,
მიწიერი მწუხარების მგლოვიარე დედოფალი...
ზეციური სილამაზის სახეს ადებს ვაჟის გულზე,
აღარც ფიქრობს ამ უზომო მწუხარების დასასრულზე.
თმას გაიშლის, დაემხობა, საცოდავად ტირის, კვნესის,
მის ცრემლების სიკამკამეს, ვეღარ იტევს ჩემი ლექსი.
განა მისთვის არ უნდოდათ, მიერთმიათ ნორჩი ვარდი,
და მწუხარედ ეჩურჩულათ, შემიყვარდი, შემიყვარდი...
მაგრამ როგორ კადრებ ტრფობას, როცა გიდგას თვალწინ ქალი,
ღვთისმშობელი მარიამის თვალებიდან მომზირალი...
ვაჟის დედაც დასტრიალებს უბადლო რძალს მუდამ თავზე,
არავინ ჰყავს მისი ფასი გამოცდათა ქვეყანაზე,
მოხიბლულა მისი ქცევით, დედის გული მგრძნობიარე,
სიგიჟემდე უყვარს რძალი, უკვდავების მოტრფიალე.
ამოწურა მიწიერი წლების რიცხვი დედა-ქალმა,
ღირსეულად დაიტირა დედამთილი ქვრივმა რძალმა.
გენიოსო, არ გეცვლება, ხედავ შენი დიდი ნიჭის?!
ნუთუ არ გშურს სიმდიდრისა, გარდაცვლილი ლაღი ბიჭის?!
და მის მერე წლების რისხვას, ქალიშვილი ებრძვის მარტო,
რაღად უნდა ამ სრულყოფას, სხვა სიტყვები მივუმატო.
ვაჟის ხსოვნა, წმინდა გრძნობა, ააცურა მაღლა ცაზე,
ამაყად და ღირსეულად დააბიჯებს ქვეყანაზე.
კვლავ ერთგული არის ხსოვნის, კვლავ ერთგული არის ღვთისა,
როგორ გინდა არ იწამო, ამ განგების რჩეულისა...
მიილია მისი წლები მიწიერი გამოცდისა,
წლეულს გახდა მშვენიერი ქალიშვილი სამოცისა.
შენ კი ამბობ არ არსებობს, უკვდავება დაგიკარგავს,
ჩემულობდი, მაგრამ ნუთუ არასოდეს არ გინახავს:
ან გმირები მოღალატე, უერთგულო როცა ნახე,
მაშინ ერთი ღირსეული ქართველი ვერ გამონახე?!
გამაგონე, გენიოსო, ამ ღალატით რის თქმა გსურდა,
რომ თქვენს დროში ერთგულება აღარავის არ ძალუძდა?!
როგორ ამბობ, სულ ერთგული, რომ არავინ იყო უწინ?
და თუ იყო, რატომ გახდი, მისთვის ასე სიტყვაძუნწი?!
რატომ ცდილობ, უკვდავ ტრფობას გაუჩინო შავი ბზარი?!
მილიონში იმ ერთისთვის, ვერ გამოყავ ერთი ბნკარი?!
აღარ იყო? ვერ გიცვნია, არ გცოდნია ტრფობის ფასი,
ნუთუ აღარ დაგიცლია უკვდავების თავად თასი...
ნუთუ თავად არ ძალგიძდა ერთგულება მარადმწვანე,
ნუთუ მერის რომ ეტრფოდი, სხვა ტრფიალზე გადაცვალე?!
ნუთუ ის სხვა მოგიკვდა და ვერ შეძელი გლოვა მისი?!
ნუთუ ისე გაბოროტდი, რომ შეგძულდა გლოვა სხვისი?!
ღირსეულს რომ ჰყვარებოდი, არ ყოფილხარ თურმე ღირსი,
ოლღასთანაც გახდებოდი მოტრფიალე რადგან სხვისი.
ვხედავ ვეღარ შეგიცვნია ჭეშმარიტი უფლის მრწამსი,
რომ ღალატი მრავლობს მიტომ, ერთგულებას ჰქონდეს ფასი.
განკითხვამდე რომ ჰქუხს მხოლოდ, ცდუნებების რიგთა წყება,
ერთგულების ღირსება კი, რომ არასდროს იფარგლება.
ვეღარ მისწვდა შენი სული ამ სიწმინდეს, ვეღარ მისწვდა...
და ვაი, შენ, რომ სიკვდილი, სიცოცხლეშივ დაგავიწყდა.
დაგავიწყდა, რადგან ასე, მსჯელობს შენი დიდი გონი,
გსურს უფსკრულში გადაჩეხო უკვდავების ფაეტონი.
სხვა რად მინდა, ჩემი გითხრა, ერთგულების სიმფონია,
რა სატრფო ვარ, გარდაცვლილი სატრფო თუ ვერ მიგლოვია...
დამიფაროს ღმერთმა, მაგრამ თუ წამართვა სატრფოს სული,
მის საფლავზე მიჯაჭვული, მეყოლება სიყვარული.
მიჯაჭვული მეყოლება, სანამ სუნთქვის მექნა ნება,
ასე მესმის გენიოსო, მიწიერი მე ცხოვრება.
ვუერთგულებ სატრფოს საფლავს, ვუერთგულებ უფლის ნებას,
ვუერთგულებ ღირსებას და ტრფიალების უკვდავებას...
ზარსა სცემენ იმ ქალს ვინაც, დაამარცხა ბედი მწარე,
მოწიწებით გადათოვლილ კუბოში სჭედს მესაფლავე.
სჭედს და რაღაც ველურ ფიქრზე, ახლა კი არ იღიმება,
სტირის ჩვენი მესაფლავე, ასე უნდა, ეგრეც ხდება!
ეახლება ქალი ედემს, თუ მიგიწვდა მასთან სული,
უპასუხე, გენიოსო, რად ატკინე ოქროს გული?!
უპასუხე, რად უარყავ, არ გინდოდა მხელა რისი,
უპასუხე, რად არ იყავ, სიყვარულის თავად ღირსი...
და უთხარი, რომ შეიცან ჭეშმარიტი უფლის მრწამსი,
რომ არსებობს, რომ არსებობს ერთგულების ქვეყნად მსგავსი.
რომ გრცხვენია, რომ გრცხვენია, მოიფიქრე კიდევ რამე,
რომ აკლია „მესაფლავეს“ სიყვარულის სიკამკამე!
თავად ხედავ, აღარა გაქვს ნება, რაც თქვი, კვლავ იგი თქვა,
ვერასოდეს შეიწირავს წმინდა ტრფობას სამარის ქვა!
მე კი გეტყვი, განა გჯიბრობ, და გიცხადებ ლექსით მტრობას,
გედავები მარადიულ, უერთგულეს გრძნობის გმობას.
გიღიარებ, გატოლება, ლექსით შენთან არის ძნელი,
მაგრამ გკითხავ — რად ირგუნე უკვდავების სავარძელი?!
წამოდექი სავარძლიდან, ჩამომართვი ხელზე ხელი,
არ მელოდი, გენიოსო, სიყვარული გეახელი!!!

სუდოკუმანია

ადვილი

	4				7		5	
		3			2			
	8					4	2	
			4	7				9
	3	4	2		9	8	6	
2				6	5			
	5	1					4	
			5			7		
	2		1				8	

სტანდარტი

	4		5				9	8
1				6				5
5			8				4	
	1		4					
4		5				3		2
					6		5	
	8				9			6
2				7				9
9	5				8		3	

რთული

9				3				6
					2		3	
			8			9	5	
	6			5		7		
		4				1		
		9		4			2	
	5	8			4			
	7		9					
6				7				2

ექსპერტი

	5				9		8	6
		1			5			
9		7	6	4				
1						3		
	3		1	2	8		5	
		5						8
				9	1	8		4
			7			2		
7	1		4				3	

გემრიელი ობი: კულინარიული სიძუნწის ისტორია

ამბობენ, რომ უგემრიელესი დელიკატესები ადამიანის სიძუნწის გამო გაჩნდა: ენანებოდათ დაობებული პროდუქტის გადაყრა და აი, მოიფიქრეს კიდეც, როგორ გამოეყენებინათ.

ობი სხვადასხვანაირია. როცა ის თვითონ ჩნდება, პროდუქტი გადასაგდებია, ხოლო როცა მიკროორგანიზმებს სპეციალურად ამრავლებენ, მათ უფრთხილდებიან, თავს ევლებიან, ყველა პირობას ქმნიან, რათა ობი გაიზარდოს და პროდუქტს მთლიანად მოედოს, ზრდისა და კულტივაციისთვის ყველაფერს აკეთებენ, ამიტომაც „სწორ“ ობს მთელი „საგვარეულო ხე“ აქვს და მას „კეთილშობილსაც“ უწოდებენ.

ყველაზე ხშირად ობს, რასაკვირველია, ყველზე ამრავლებენ. ცისფერი, წითელი, თეთრი — ყველა სახეობის ყველს განუმეორებელ გემოსა და არომატს ანიჭებს. ცისფერ ყველს (ასე ობის ფერის გამო უწოდებენ) მიეკუთვნება ფრანგული როკფორი, იტალიური გორგონზოლა, ინგლისური სტილტონი და ბევრი, შედარებით იაფი ანალოგი, მაგალითად, დორ-ბლიუ. უძველესი ლეგენდის მიხედვით, ერთმა ფრანგმა მწყემსმა, რომელმაც გამოქვაბულში პური და ყველი დატოვა, უკან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ ყველს ობის ცისფერი ძარღვები გასჩენოდა (სოკო Penicillium roqueforti), მაგრამ მშიერმა მაინც შეჭამა და მისდა გასაოცრად, დაობებული პროდუქტი უფრო გემრიელი აღმოჩნდა. შეიძლება მართლაც ასე იყო, მაგრამ მსგავსი რამ ფრანგულ ისტორიამდე უფრო ადრე მოხდა, რადგან ცისფერი ყველი ჯერ კიდევ რომის იმპერიისდროინდელ ლიტერატურაში მოიხსენიება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	4	8	7	6	2	5	3	1
6	3	1	9	8	5	4	7	2
5	2	7	4	3	1	9	6	8
4	1	6	5	2	9	3	8	7
8	7	5	6	4	3	2	1	9
3	9	2	8	1	7	6	5	4
2	8	4	3	7	6	1	9	5
1	6	9	2	5	8	7	4	3
7	5	3	1	9	4	8	2	6

სტანდარტი

7	9	2	8	6	5	4	3	1
5	6	1	7	4	3	9	2	8
3	8	4	2	1	9	7	6	5
1	5	9	3	2	8	6	7	4
4	7	6	5	9	1	3	8	2
2	3	8	6	7	4	1	5	9
9	2	3	4	8	7	5	1	6
8	4	7	1	5	6	2	9	3
6	1	5	9	3	2	8	4	7

რთული

7	6	4	1	9	8	3	5	2
5	9	3	4	2	7	1	8	6
2	1	8	6	5	3	4	9	7
4	2	6	9	3	1	8	7	5
1	8	5	7	6	4	2	3	9
9	3	7	2	8	5	6	4	1
8	5	2	3	1	9	7	6	4
6	4	9	8	7	2	5	1	3
3	7	1	5	4	6	9	2	8

ექსპერტი

2	1	6	7	9	4	3	8	5
9	8	3	2	5	1	7	6	4
4	7	5	3	8	6	2	1	9
3	2	7	6	4	5	1	9	8
1	4	9	8	7	3	6	5	2
6	5	8	1	2	9	4	7	3
8	6	4	9	3	7	5	2	1
7	3	2	5	1	8	9	4	6
5	9	1	4	6	2	8	3	7

ადვილი

4	2	6	9	8	7	5	3	1
1	7	9	6	3	5	8	4	2
8	5	3	1	4	2	6	7	9
3	4	2	8	7	9	1	6	5
9	1	7	5	2	6	4	8	3
6	8	5	4	1	3	9	2	7
5	3	4	7	9	8	2	1	6
2	9	1	3	6	4	7	5	8
7	6	8	2	5	1	3	9	4

სტანდარტი

8	7	3	6	2	9	5	4	1
4	5	2	3	1	8	9	7	6
1	9	6	7	5	4	8	3	2
9	1	8	5	7	3	6	2	4
7	6	5	8	4	2	1	9	3
3	2	4	1	9	6	7	5	8
2	8	1	9	3	7	4	6	5
5	4	9	2	6	1	3	8	7
6	3	7	4	8	5	2	1	9

რთული

7	6	5	4	3	2	1	9	8
2	1	9	8	7	6	4	3	5
4	8	3	9	5	1	2	7	6
1	3	6	7	4	9	8	5	2
5	2	4	3	1	8	9	6	7
9	7	8	6	2	5	3	4	1
3	5	2	1	9	7	6	8	4
6	4	7	2	8	3	5	1	9
8	9	1	5	6	4	7	2	3

ექსპერტი

6	5	4	9	8	3	1	2	7
3	2	1	7	4	6	5	9	8
7	9	8	5	2	1	6	4	3
4	3	7	6	5	8	2	1	9
9	1	2	4	3	7	8	6	5
8	6	5	2	1	9	7	3	4
2	8	6	3	9	5	4	7	1
1	7	3	8	6	4	9	5	2
5	4	9	1	7	2	3	8	6

მე-10 გვერდი: 1. გოდერძი; 2. გვირილა; 3. გრიზლი; 4. დიახ; 5. რიონი; 6. იუანი; 7. გვერდწითელი; 8. იპოთეკა; 9. იგორ; 10. ათენი; 11. პითაგორა; 12. აბაკა; 13. სკეიტბორდი; 14. რიწა; 15. ჰეროდოტე; 16. რენეგატი; 17. გომელაური; 18. მორიაკი; 19. სირი; 20. გერდა; 21. ალა; 22. კუბი; 23. მწდე; 24. წეკო; 25. მი; 26. არიმანი; 27. მაო; 28. სქიზმა; 29. შეთე; 30. „ისკრა“; 31. ალკკ; 32. პოლო; 33. ეჯი; 34. იაკი; 35. აქტი; 36. ოთარ; 37. კრონა; 38. რეგალია; 39. აკუა; 40. ამაზონი; 41. ამება; 42. კები; 43. ალ; 44. ალია; 45. კიო; 46. ოროველა; 47. პიტბული; 48. ბრა; 49. ბლადი; 50. ზმა; 51. ნეი; 52. ნია; 53. მიომა; 54. ური; 55. ლუიჯი; 56. რაკია; 57. დი; 58. ხბო; 59. ხალთა; 60. იო; 61. მოა; 62. ტამპერე; 63. პარტიზანი; 64. პაი; 65. ლოდი; 66. პა; 67. კუ.

1.პერუს დედაქალაქი
2.სუსტი ქარი, ნიავი
3. მარკების ჩასაწყობი ალბომი
4. წარმოების საქმიანობის შეწყვეტა
5.ცენტრალური მცველი ფეხბურთში
6. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
7.ძველებ. ლოდსატყორცნი მანქანა
8.ციური სხეულების შემსწავლ. მეცნიერება
9.საზოგადოების მძართველი ფენა
10.სამრეწ. საწარმოთა გაერთიანების ფორმა
11.ცირკის ტანმოვარჯიშე
12. კოსმოსური ხომალდი
13. მაგნიტური ნაკადის ერთეული
14. ტვირთმზიდავი ხარი
15. პატარა ქანდაკება
16. გერმანელი მწერალი
17. ხაჭაპურის სახეობა
18. ჩილეს საპორტო ქალაქი
19.დაბალი ხარისხის, ცუდი
20.ნერვ. ბოჭკოების კავშირი ორგანოსთან
21.სურამის ციხეში ჩატანებული ყმაწვილი
22. მთა გაგრასთან
23.ავსტრალ. პატარა ჩანთოსანი ცხოველი
24.ვირის გასარეკი შეძახილი
25. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი
26. ფრანგი კომპოზიტორი
27. აბესალომის სატრფო
28. თავბრუსხვევა
29. ომონიმური რითმებით გაწყ. ლექსი
30. მსახიობი ... ფეროუ
31. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
32. ოსური ცეკვა
33. ბაღი - ძველ ქართულში
34. იხ. სურათი: ავტორი
35. იკერ კასილასის საფეხბურთო ამპლუა
36. ქვეყანა აფრიკაში
37. ბედი, ბედისწერა
38. უზურგოსკამი
39. სამი ან მეტი მუსიკა-ლური ბგერის თანაყოფერადობა
40. ცისკარას სატრფოს სახელი
41. ნამი, სისველე
42. მუსიკოსი ... ჩარლზი
43. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო
44. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველ.
45. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
46. დათა თუთაშხიას და
47. ქალაქი ...-ანაელესი
48. შხამიანი გომბეშო
49.რადიოტალღების დასაჭერი მოწყობილ.
50.შენობაში ამოყვანილი ღია აივანი
51. მდინარე ფლორენციაში
52.ძველი კინოფილმების ჩვენება
53. წარს. ცნობილი ქართველი ჩოგბურთ.
54. ალ. კუპრინის მოთხრობა
55.ჰექტრის შემოკლებული აღნიშვნა
56.სპორტ. შეკვიბრების ბოლო ნაწილი
57. სოკოს ქსელი საკვებ პროდუქტზე
58. „ქალაქი ანარას“ რეჟისორი
59. კომპოზიტორი ... მორიკონე
60. ჯოჯოხეთის ცეცხლი
61. იგივეა, რაც იალქანი
62. ინდონეზიის კუნძული

ღალიეთ ღვინო და იყითხეთ

მალე ღვინის იტალიელი მწარმოებლები ბაზარზე სასმელის 400 ათას ბოთლს გამოუშვებენ, რომელთა ეტიკეტებზეც ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებებს განათავსებენ. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე მესამე აქციაა აპენინებზე, რომელიც ლოზუნგით — „წაიკითხე ერთი ამოსუნთქვით“ — მიმდინარეობს. კონკურსში, რომელიც ღვინის თემას ეძღვნებოდა, 1500 მოკლე ლიტერატურული ნაწარმოები მონაწილეობდა. მოთხრობის მაქსიმალური ზომა 4 ათასი ნიშანი იყო. მონაწილეებმა, რომელთაც პირველი სამი ადგილი დაიკავეს, გარდა ფულადი პრემიებისა, ასეთი პრივილეგიაც მიიღეს — „დაიბეჭდება“ ღვინის ბოთლებზე. ეს კი ნიშნავს, რომ მათი ნაწარმოებები უამრავი იტალიელის ოჯახში, ბარსა თუ რესტორანში მოხვდება. კონკურსის ორგანიზატორები — ღვინის მწარმოებლები და გამომცემლობა ელტრინელლი იმედოვნებენ, რომ კითხვის პროცესს, კარგი სასმელის წყალობით, უფრო სასიამოვნოს გახდიან ან პირიქით — ღვინის სმა უფრო შინაარსიანი იქნება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სლოკინი გახდომაში დაეხმარა

ჭარბი წონის მოსაცილებლად ადამიანი რა მეთოდს აღარ იგონებს, აი, ამერიკელ მილტონ ბეტსს კი არაფრის გამოგონება დასჭირდა — 18 კილოგრამის მოკლებაში „ჩვეულებრივი“ სლოკინი დაეხმარა, თუმცა თავად მილტონი სულაც არ არის ამ ამბით გახარებული, რადგან გაუჩერებელ სლოკინს, რომელიც უკვე ერთი წელია ტანჯავს, თავს ვერაფრით აღწევს. მამაკაცი შეუჩერებლად ასლოკინებს, მცირე „შესვენება“ მხოლოდ ერთი-ორი დღე აქვს თვეში. ბეტსმა კილოგრამებთან ერთად, სამსახურიც დაკარგა: კოლეგების თვალწინ რამდენჯერმე კინაღამ სული შეეხუთა. ამის გამო ხშირად სამუშაოდან შინ უშვებდნენ და ბოლოს, გაათავისუფლეს კიდეც. თუმცა, ეს ყველაზე უარესი არ არის, რაც შეიძლება სლოკინმა „დამართოს“ ადამიანს — მედიცინაში ცნობილია შემთხვევები, როცა ამ დაავადების მძიმე ფორმა უძილობას, გამოფიტვასა და სიკვდილსაც კი იწვევს. სლოკინის მიზეზი, ჩვეულებრივ, კუჭის გადაციების ან მისი უზომოდ გაწელვის (ბევრი საკვების მიღების) გამო ხდება, მაგრამ ის დიდხანს არ გრძელდება. ხანგრძლივი სლოკინი კი ფილტვების ანთებაზე ან სიმსივნეზე შეიძლება მიუთითებდეს — დაავადება აღიზიანებს დიაფრაგმას და მის პერიოდულ შეკუმშვას იწვევს. ბეტსის შემთხვევაში კი მედიკოსებმა დაადგინეს, რომ სლოკინი დიაფრაგმის ნერვის გაღიზიანებითაა გამოწვეული, მაგრამ ვერც უამრავმა წამალმა, ვერც ოპერაციამ საწყალ ამერიკელს ვერაფერი უშველა. ახლა ბეტსი მზადაა, ექსპერიმენტებისთვის „საცდელი კურდღელიც“ კი გახდეს, ოღონდ განიკურნოს.

კატის გაგდებისთვის დასჯარიმეს

პარმაში მცხოვრებმა იტალიელმა ალესანდრო მარჩესიმ, რომელმაც ცოლის საყვარელი კატა აივანზე გააგდო, დაახლოებით 800 დოლარის ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ცოლმა სათანადოდ ვერ დააფასა ქმრის აღმზრდელობითი ინიციატივა, რომლის პორტფელზეც მოისაქმა მისმა საყვარელმა ცხოველმა და „საქმეში“ ცხოველთა დაცვის საზოგადოება ჩართო, რადგან კატა აივანზე შეციებული, მშიერი იპოვა და ამის გამო მეუღლეს სასამართლოში უჩივლა. ცხოველებზე მზრუნველმა იტალიურმა ასოციაციამ ქალს საუკეთესო ადვოკატები მოუძებნა, რომელთა დახმარებითაც მარჩესის მორალური კომპენსაციისა და ვეტერინარული ხარჯის დაფარვა მოუწევს.

სუდოკუმანია

ადვილი

			3			8		
	2	3			6		5	
8		5		9			1	
					1		4	
2	7						3	1
	4		2					
	8			5		3		9
	5		8			4	7	
		7			9			

სტანდარტი

		2				1		3
	7		4				6	
					8		2	
			5			2	1	
7			3		2			8
	4	1			6			
	3		8					
	2				4		5	
5		6				9		

რთული

					7			5
		7				3	2	
4		9		5		1	8	7
9			7			2		
				6				
		2			8			4
2	9	5		7		4		6
	6	4				5		
7			5					

ექსპერტი

			5			1		3
	4		3		1	9		
				9			6	
				3		8		9
5	8						1	6
9		2		8				
	5			1				
		9	7		2		5	
3		6			8			

პარალიზებულებიც გაივლიან

იტალიელი მეცნიერები ახალ იმპლანტანტზე მუშაობენ, რომელიც ზურგის ტვინის ზრდას დაეხმარება. ცდები, რომელიც მღრღნელებზე ჩატარდა, შესანიშნავი შედეგებით დასრულდა: პარალიზებულ ცხოველებს კიდურების შეგრძნება დაუბრუნდათ და მოძრაობა დაიწყეს. ამ იმპლანტანტებს — სპეციალურ ბიოდაშლად კარკასებს — პატარა მილების ფორმა აქვს, მათი სიგრძე 2-3 მილიმეტრია. იმპლანტანტების დიამეტრიც მცირეა და 0,5 მილიმეტრს აღწევს. მილების შიგნით სპეციალური გელია, რომელშიც ორგანიზმის უჯრედებს — ნერვულ ბოჭკოებს, სისხლძარღვებს შეუძლიათ ზრდა. იმპლანტანტებს ათავსებენ ზურგის ტვინის ნახვრეტში და ეს კარკასები ნერვიულ ბოჭკოებს საჭირო მიმართულებაით ზრდიან.

თეთრი პური სასარგებლოა

ესპანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ თეთრი პური ხელს უწყობს ნაწლავების მეგობარი ბაქტერიების გამრავლებას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. როცა ორგანიზმში ბაქტერიების განსაზღვრული პოპულაცია მცირდება, ადამიანი დაავადებებისადმი უფრო სუსტი ხდება. ნაწლავების მიკროფლორის ბალანსის შენარჩუნების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი კი დიეტაა. იმის გასარკვევად, რომელი ინგრედიენტები უწყობს ხელს მეგობარი ბაქტერიების გამრავლებას, რამდენიმე კვლევა ჩატარდა. ესპანელმა სწავლულებმა კი აღმოაჩინეს, რომ სწორედ თეთრი პური ზრდის სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას.

მწვანე ჩაი სისხლის კიბოს წინააღმდეგ

მწვანე ჩაის შეუძლია სისხლის კიბოს ზოგიერთი სახეობის განვითარება აგვაცილოს თავიდან, თუმცა ამისთვის დღეში სულ მცირე ხუთი ფინჯანი უნდა დალიოთ. იაპონელმა სწავლულებმა დიდი ხანია იციან, რომ მწვანე ჩაი ნაადრევი სიკვდილისა და გულის დაავადებების განვითარების რისკს ამცირებს, ბოლო გამოკვლევებმა კი ამ სასარგებლო სასმელის კიდევ ერთი სასიკეთო ეფექტი დაადგინა. სპეციალისტები ცხრა წლის განმავლობაში 40-დან 79 წლამდე ასაკის ათასობით ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ. გამოკვლევის დასაწყისში სისხლის ან ლიმფური სისტემის კიბო არც ერთ მათგანს არ ჰქონდა. ცხრა წლის შემდეგ კი ექსპერიმენტის 175 მონაწილე დაავადდა ძვლის ტვინის, ლიმფური სისტემისა და სისხლის კიბოთი. როგორც აღმოჩნდა, მათ შორის არ იყვნენ ისეთები, ვინც ბევრ მწვანე ჩაის მიირთმევდა. კერძოდ, სისხლის კიბოს განვითარების რისკი 42%-ით ნაკლები აღმოჩნდა იმ ადამიანებში, ვინც დღეში ხუთ ფინჯან სასმელს მაინც სვამდა, ლიმფური სისტემის დაავადების რისკი კი მათში 48%-ით მცირდებოდა. ცნობილია, რომ მწვანე ჩაი მდიდარია პოლიფენოლებით, რომელთა შორისაა ძლიერი ანტიოქსიდანტები — კატეხინები. სწორედ კატეხინებს აქვთ უნიკალური თვისება, სიმსივნური უჯრედების ზრდა შეაჩერონ.

მობილური ბავშვებში ალერგიას იწვევს

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მობილური ტელეფონის გამოყენებამ, შესაძლოა, ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს ბავშვებში, მიზეზი კი ისაა, რომ აპარატების კონსტრუქცია შედგება ალერგენული მეტალისგან — მაგალითად ნიკელი ალერგიულ დერმატიტს იწვევს და კანს აზიანებს, თუმცა, ასაკთან ერთად, რისკიც იკლებს. ადრე ნორვეგიელმა და დანიელმა სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ასაკის მიუხედავად, მობილური ტელეფონის ყველა მომხმარებელი უჩივის თავისტკივილს, ძილიანობას, გაღიზიანებას... ეს სიმპტომები კი სისხლძარღვების დისტონიას ახასიათებს. ამიტომ მკვლევარები მშობლებს ურჩევენ, ნუ გარისკავენ შვილების ჯანმრთელობით — ტელეფონის ელექტრომაგნიტური ველი ორგანიზმის დაძაბულობას იწვევს, რაც ასუსტებს იმუნიტეტს და სჯობს, სკოლის ასაკამდე პატარები მობილურს საერთოდ არ გააკაროთ.

იაპონელები ლურჯ ლუდს ყიდიან

ტოკიოს ერთ-ერთმა ლუდის რესტორანმა ლურჯი ლუდის გაყიდვა დაიწყო, რომელსაც იაპონიის საფეხბურთო გუნდს Samurai ლუე უძღვნიან. ქვეყნის ფარგლებსგარეთ ამ ქაფიან

სასმელს ალბათ უფრო მწვანეს უწოდებდნენ, მაგრამ იაპონურ ენაში არ არის მწვანესა და ლურჯის ცალკე აღმნიშვნელი სიტყვები. გარდა უჩვეულო შეფერილობისა, ლუდ Samurai Blue-ს კიდევ ერთი განსაკუთრებულობა ახასიათებს — ის გაყინული ქაფით იფარება და დიდხანს რჩება ჩაციებული. გაყინულქფიანი ლუდის წარმოების ტექნოლოგია ამავე რესტორანში შეიმუშავეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ლურჯი ლუდი დაწესებულების მენიუში დიდხანს არ დარჩება — მას მხოლოდ მომავალ თვემდე გაყიდიან.

ტელეკომპანია ,,თრიალეთი"
რეკლამა ,,თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით
032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

1. გამოჩენილი ესპანელი მხატვარი
2. ტროას აღმომჩენი არქეოლოგი
3. ცოცხლადშობა ანუ ...
4.ხერხემლის გამრუდება წინ გაზნექით
5. ცეცხლვამძლე კარადა
6.ინგლისის მეფე რიჩარდ პირველის მეტსახელი
7. ყელზე ჩამოსაკიდი ძვირფასი ლითონის სამკაული
8. (ჟარგ.) პატიმრის საწოლი
9.ერთერთი ყველაზე გავრცელებული მინერალი
10. ირანის ფულის ერთეული
11. ყურძნის ერთერთი ჯიში
12. პორტუგალიური მაგარი ღვინო
13. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი
14.ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი
15. სათამაშო ოქროს მთავარი მხარე
16.მანძილი სიტყვებსა და ასოებს შორის ნაბეჭდ ტექსტში
17. ქვეყნის ნაწილი
18. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
19.ამერიკელი პოლიტიკოსი კონდოლიზა ...
20. მიმდინარეობა თანამედროვე მუსიკაში
21. სოფელი წალენჯიხის რაიონში
22. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
23. სამხედრო ფორმის ქურთუკი
24. ჰიგიენური დაწესებულება
25. დანის ადმინისტრაციულტერიტორიული ერთეული
26. სიახლე, ახალშემონაღები
27. სამატომიანი ჟანგბადი
28. აღტაცების შეძახილი იაპონიაში
29.სტატიის მოკლე შინაარსი, დასკვნა
30.აბატი „გრაფ მონტე-კრისტოში“
31. იაზონის ხომალდი
32. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
33. ევროკავშირის ვალუტა
34. გამარჯვების ქალღმერთი ბერძ. მით.
35. ბგერის ანარეკლი
36.არანორმალურად პატარა სიმაღლე
37.ძველი ასურეთის დედაქალაქი
38. ხერხემლის ძვალი
39.ესპანელი ჩოგბურთელი
40.მსახიობი ... მერფი
41.ადამის ცოლი
42.ანაბარი უცხ. ბანკში
43. ჩინური ტრადიციული ტაფა
44. ქართული ხალხური სიმღერა
45. სოფელი ონის რაიონში
46.ცნობილი სათამაშო კუბიკის გამომგონებელი
47. ღვინის მოფერებითი სახელი
48.მსახიობი ... გარდნერი
49. III ნოტი
50. ჩვენი დიდი მგოსანი
51. ტბა იტალიის ალპებში
52.ძალა მთებში მობინად. ჩლიქოსანი ცხოველი
53. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
54.გულის მუშაობის ერთერთი ფაზა
55. ყურძნის მოსავლის აღება
56. საგანგებოდ დამუშავებული ხის სოკო
57. თეთრკანიანი ამერიკელი რეპერი
58. გვერდზე ცურვის ხერხი
59.„ლაჟვარდოვანი ნაპირი“
60.ქალის პირბადე
61. მედუდუკეთა ანსამბლი
62. მწერალი ... ტოლსტოი
63. შვიდის მომდევნო რიცხვი
64.მამა-პაპითგან დამკვიდრებული ჩვეულება
65. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
66. სასვენი ნიშანი
67. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
68.ყველაზე გრძელი მდინარე ჩილეში
69. პოპულარული საბჭოთა მელტსერიალი „...., დამაცადე!“
70. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
71. ნახევრადძვირფასი ქვა
72. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
73.შტეფან ცვეიგის ცნობილი მოთხრობა
74. ირლანდიის სიგრძით მეორე მდინარე
75. ვულკან ვეზუვით განადგურ. ერთერთი ქალაქი
76. გადაბრუნებული ბერძ. ასო დელტა
77. ძალადობის ქალღმერთი ძველბერძნულ მითოლოგიაში
78. სამეურნეო მუშაკი
79. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
80.ყვავილი, რომელიც ინდოეთის ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენს
81.მაგიდაზე გადასაფარებელი წყალგაუმტარი ქსოვილი
82. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
83. ჯავშნიანი რეპტილია
84. გაზაფხულის ყვავილი
85. აქლემების ოჯახის ცხოველი
86. გერდას მეგობარი ბიჭუნა ზღაპარ „თოვლის დედოფალში“

ქორწინება ჯანმრთელობისთვის „მავნეა“

ეგვიპტელმა ქალმა იასირია სულეიმანმა გადაწყვიტა, 12-წლიანი ბედნიერი ქორწინების შემდეგ ქმარს გაეყაროს. მიზეზი კი მისი მეუღლის სიყვარულია მაგარი სიგარის მიმართ. ქალის თქმით, ქმარი მუდმივად ეწევა სახლში სიგარას და ყურადღებას არ აქცევს თხოვნას, გარეთ მოწიოს. სიგარის კვამლის შესუნთქვის გამო, ალერგია განმივითარდა, მაგრამ ქმარი ამის შემდეგაც არ ამბობს უარს სახლში მოწევაზე, რის გამოც საავადმყოფოში მოვხვდი და ექიმებმა კატეგორიულად ამიკრძალეს მწეველის გვერდით ყოფნა, — ამბობს გამწარებული ცოლი. იასირიას მეუღლე კი, თავის მხრივ, აცხადებს — მთელი შეგნებული ცხოვრება სიგარას ვეწევი და ახლა მასზე უარის თქმა ჩემს ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნისო. სახლში მოწევას კი იმით ამართლებს, რომ სამუშაოს შინ ასრულებს. ეგვიპტის სასამართლომ ორივე მხარის არგუმენტები მოისმინა და დააკმაყოფილა ცოლის მოთხოვნა განქორწინების თაობაზე იმ მოტივით, რომ მათი ქორწინება ორივეს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.